ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა
Akhali Taoba

## ლიკა ქავჟარაძეს 14 ოქტომბერს დაკრძალავენ



გვ.12

## 10 ოქტომბრიდან ქართული ჰაგიოგრაფია

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



პარასკევი, 13 ოქტომბერი, 2017 №243 (7477) ფასი: 50 თეთრი

# „გორგიას" დირექტორ გია გორგოშაძის გამტაცებლები ოჯახისთვის 5 მილიონი დოლარის გამოძალვას გეგმავდნენ

მამუკა ჭელიძე: „ისინი ბიზნესმენის ელექტროშოკით წამებასაც აპირებდნენ"



გვ.7

## პოლიციამ გია გორგოშაძის ყოფილი ცოლის, ნინო დარსალიას, ბინაში ჩხრეკა ჩაატარა





გვ.4

## რატომ მოხსნეს რეგისტრაციიდან მერობის 21 კანდიდატი

## სახელმწიფო არ არის მეწველი ძროხა, ანუ როგორ ვიქცეთ საზოგადოებად



გვ.5

## ვახტანგ ხმალაძე: „პროპორციული არჩევნებით ერთ პარტიას კონსტიტუციური უმრავლესობა არ ექნება"



გვ.4

## პეტრე მამრაძე: „ხალხს ხმის მიცემა არავისთვის უნდა"




გვ.2

## ზაზა ხატიაშვილი: „ადვოკატთა კორპუსს ბიძინას მოურავები ვერ დააშინებენ"



გვ.3

### სამართალი

გვ.7



## „ახალგაზრდა ადვოკატები": „მოწმეებმა დაადასტურეს, რომ თემურ ბასილიას წინააღმდეგ სამხილების შეგროვების ბრძანება თათბირზე ზურაბ ადეიშვილმა გასცა"



## ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე სამი სალონი უკვე მესამედ გაქურდეს




## უჯარმაში ავარიის შედეგად 5 ადამიანი დაშავდა

### ეკონომიკა

გვ.6

## აკაკი ზოიძე: „საშუალო შემოსავლის მქონე პირებისთვის ჯანმრთელობის დაზღვევა სავალდებულო უნდა იყოს"



## ქუჩაში ნაგვის დაყრისთვის დაჯარიმებულ პირთა 45% უცხოელია



## ლევან კალანდაძე: „სესხი და ვალი არ არის საშიში, თუ ის კონკრეტულ ეკონომიკურ მიზანს ემსახურება"



ISSN 1987-9385
9 771987 938006

**2** ირმა ჭკადუა: „დაგეგმილია სოსო ოხანაშვილის ჩვენების გასაჯაროება"

**3** სალომე სამადაშვილმა გია ვოლსკის უჩივლა

ვოლსკი: „ეს ჭირვეული პატარა გოგოს საქციელი იყო და გენდერი არ მიგულისხმია"

**8** პენსიონერმა შეიარაღებულ მძარცველებს ქოლგით სცემა

# პეტრე მამრაძე: „ხალხს ხმის მიცემა არავისთვის უნდა“

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ პარლამენტის ყოფილ წევრ პეტრე მამრაძესთან

***– ბატონო პეტრე, როგორ აფასებთ პარტიების, საარჩევნო სუბიექტების რეკლამებს, რომლებიც ადამიანებს განწყობებს უქმნიან წინასაარჩევნოდ გადაწყვეტილების მიღების პროცესში?***

– მე სპეციალურად მცირე დრო გამოვყავი და ვუყურე რეკლამებს. ისეთი აზრი შემექმნა, რომ მათი რეკლამები ადამიანებზე დადებითად მაინცდამაინც არ იმოქმედებს.

***– ზოგიერთ პარტიას ისეთი რეკლამა რომ აქვს, შეიძლება იფიქრო, რომ გამარჯვება არ სურს. მაგალითად, რესპუბლიკელები მოუწოდებენ ადამიანებს, ეკლესიასა და საპატრიარქოს არ ენდოთო. რა დივიდენდებს მოუტანს ასეთი რეკლამა პარტიას?***

– რთული სათქმელია. მე მახსოვს ძველი რესპუბლიკელები 1995 წლის არჩევნების წინ. მაშინ ზოგიერთი ჩემი კოლეგა არჩევნების წინ დარწმუნებული იყო, რომ 20%-ზე მეტს აიღებდნენ და პარლამენტში დიდი ფრაქციით შევიდოდნენ. მორიდებით რომ ვუთხარი, გამოკითხვებით დასტურდება, ამდენ ხმას ვერ აიღებთ, შეიძლება ზღვარიც კი ვერ გადალახოთ-მეთქი, ეწყინათ, სწამდათ, რომ 20-25%-ს აიღებდნენ. მაშინ მართლა ვერ გადალახეს ზღვარი. ბოლო არჩევნებში, მგონი, პროცენტ-ნახევარი აიღეს, შემდეგ კი დაიშალნენ. უსუფაშვილი რესპუბლიკელებთან აღარ არის.



***– წინასაარჩევნოდ ღია დაპირისპირება ისეთი მაღალი რეიტინგის მქონე ინსტიტუტთან, როგორიც ეკლესიაა, თვითმკვლელობის ტოლფასი არ არის?***

– გეთანხმებით. ქვეყანაში, სადაც საპატრიარქო და პატრიარქი თითქმის 100% ნდობასა და პატივისცემას იმსახურებს, მხარდაჭერა არ გაიზრდება. შეიძლება 1% იყოს, რომელიც ეკლესიას არ ენდობა. ისმის მეორე კითხვა, ამას რისთვის აკეთებენ?

***– რისთვის შეიძლება აკეთებდნენ?***

– თუ ადამიანებს თავისი პრინციპებისა და იდეების გულწრფელად სწამთ, ამ იდეებს მისდევენ მაშინაც კი, როცა თვითონაც ესმით, რომ ეს პოლიტიკურად წამგებიანია. ასეთ რამეს ჰქვია პოლიტიკური პრინციპულობა, ვაჟკაცობა. ამაზე წიგნები დაწერილა. არაერთ პოლიტიკოსს მიუღია გადაწყვეტილება, პოზიციას არ შევიცვლი, ეს ჩემი მრწამსია, თუნდაც არ ამირჩიონო.

***– თუმცა მათ ბოლო დროს შეცვალეს რეკლამა.***

– პოლიტიკოსები პრინციპების გამო გადამდგარან კიდევაც, როცა რაღაც ისე არ ყოფილა. რამდენიმე წლის წინ საფრანგეთში ეკონომიკის მინისტრი გადადგა, ის პროგრამა არ სრულდება, რაზეც თავიდან შევთანხმდითო. როდესაც ადამიანს არავითარი პრინციპი არ აქვს, ზის და ფიქრობს, ნეტა ამ საზოგადოებაში რა შეიძლება ავაგოროთ, გადასახადი თუ მიწის საკითხი. ფიქრობენ, რა გააკეთონ იმისთანა, რომ მეტი პოპულარობა მოიპოვონ, ეს სხვა არაფერია, თუ არა ოპორტუნიზმი.

***– ვისი წინასაარჩევნო მოწოდებაა თქვენთვის დასამახსოვრებელი ან გასაოცარი?***

– არავისი, იმდენად ქათმის კვერცხივით ჰგავს ერთმანეთს მათი დანაპირები. მე ვიცნობ ადამიანებს, რომლებიც გამსჭვალული არიან სკეპტიციზმით. ადამიანები ქუჩაში მაჩერებენ, მესაუბრებიან და მეუბნებიან, ხმას არავის მივცემთ, ეგენი ვინ არიან, ხომ ვიცით, ეგენი თავიანთ თავზე ზრუნავენ და მეტი არაფერიო.

როდესაც ყველამ იცის, რომ ერთი კონკრეტული პარტიის პროგრამის მთავარი პუნქტია საქართველოს ნატოში შესვლა და ის შეიძლება საარჩევნო ბლოკში გაერთიანდეს იმ პარტიასთან, რომლის პროგრამის მთავარი პუნქტია ნატოში არშესვლა და რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა, იქ რომელ მხარდაჭერაზეა საუბარი.

***– არის მოწოდებები ერთდროულად რუსეთთან დიალოგზეც და ნატოს საჭიროებაზეც.***

– ეგ სხვაა. 2012 წელს, „ოცნების“ გამარჯვების შემდეგ, გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, გამოცხადდა რუსეთთან დიალოგის საჭიროება, ნატოს გენმდივანი რასმუსენი ჩამოვიდა თბილისში და თქვა, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ უზარმაზარი ნაბიჯი გადადგა ნატოს მიმართულებით სწორედ იმიტომ, რომ გამოაცხადა დიალოგის აუცილებლობა რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღსადგენადო. რასმუსენმა თავის დროზე თქვა, ნატო არასოდეს მიიღებს თავის წევრად იმ ქვეყანას, რომელიც თავის საგარეო პოლიტიკას რუსეთთან დაპირისპირებაზე აგებს, ნატოს წარმომადგენლები ამბობენ, კეთილი ინებეთ და ჯერ რუსეთთან მოაგვარეთ ურთიერთობაო. ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო პროგრამების მქონე პარტიებს, რომლებიც ერთ ბლოკში არიან გაერთიანებული, ხალხი ხმას არ მისცემს.

# ირმა ჭკადუა: „დაგეგმილია სოსო ოხანაშვილის ჩვენების გასაჯაროება“




ადვოკატი ირმა ჭკადუა საქართველოს მთავარ პროკურატურას მიმართავს, დაიწყოს გამოძიება და აღიკვეთოს დეკანოზ გიორგი მამალაძის დახურული სასამართლო სხდომის ოქმების გამოქვეყნება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ჭკადუამ განუცხადა, ერთ-ერთი ტელეკომპანია აპირებს გამოაქვეყნოს პატრიარქის ყოფილი უფროსის სოსო ოხანაშვილის ჩვენების ნაწილი, რომელიც მან დახურულ სასამართლო სხდომაზე მისცა.

ჭკადუას განცხადებით, ჩვენებაში ოხანაშვილი მისი, ნანა კაკაბაძისა და ეკა ბესელიას შესახებ საუბრობს და მათ შეწყალების კომისიასთან კორუფციულ გარიგებაში ადანაშაულებს.

– რამდენიმე წუთის წინ ერთ-ერთი ტელეკომპანიიდან დამირეკა ჟურნალისტმა და დახურული სასამართლო სხდომის ოქმიდან, კერძოდ, ოხანაშვილის დაკითხვიდან დამისვა კითხვები. ოხანაშვილი თურმე მე, ნანა კაკაბაძეს და ეკა ბესელიას გვახსენებს, „ციანიდის საქმეზე“ თურმე თქვა, რომ მე, ირმა ჭკადუას, საპატრიარქოში შეწყალების კომისიასთან მქონდა კორუფციული გარიგებები და ამასთან დაკავშირებით მთხოვა კომენტარები.

მივმართავ მთავარ პროკურატურას, სასწრაფოდ დაიწყოს გამოძიება „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 381-ე მუხლით, ვინაიდან, ჟურნალისტმა იცოდა, რომ ის საუბრობდა დახურული სასამართლო სხდომის ოქმებში დაფიქსირებულ ინფორმაციაზე, რაზეც სასამართლოს გამოტანილი აქვს განჩინება და მას არ უნდა ჰქონდეს წვდომა აღნიშნულ ინფორმაციაზე. სხდომის დახურვის მიუხედავად ის აპირებს ამ ჩვენების გამოქვეყნებას.

მთავარი ამბავი არის ის, რომ ბატონი ოხანაშვილი პირდაპირ არის დაკავშირებული ნაციონალურ მოძრაობასთან და აღნიშნულ ტელეკომპანიასთან, რომელიც დაინტერესებულია ჩემი დისკრედიტაციით. ვინაიდან საპატრიარქოში მისი დანაშაულებრივი, ანტისახელმწიფოებრივი და პატრიარქის მიმართ ანტისაქციელებში პრაქტიკულად ვამხილეთ ჩვენ. ის ყველაფერს აკეთებს, რომ ჩემი სახელის დისკრედიტაცია მოახდინოს.

ოხანაშვილი, რომელიც იყო პატრიარქის დაცვის უფროსი, დაინტერესებულია სახელი შეუბღალოს მის უწმინდესობას. სოსო ოხანაშვილი ანტისახელმწიფოებრივად მოქმედი პირია, ვინაიდან ის გარდა იმისა, რომ იყო პატრიარქის დაცვის უფროსი, ამავდროულად, იყო საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი. როდესაც ის აკეთებს განცხადებას, რომ პატრიარქი ტერორისტებს იფარებდა და მან ეს ინფორმაცია იცოდა, მოქმედებდა ანტისახელმწიფოებრივად. სწორედ მას უნდა აღეკვეთა დანაშაული, თუ ასეთს ადგილი ჰქონდა.

ოხანაშვილი დაკავებული იყო სხვადასხვა მეუფეზე კომპრომატების შეგროვებით, რათა შემდგომ ამ მეუფეებზე სხვადასხვა გზით მოეხდინა ზემოქმედება, რომ თავისი ბინძური მიზნებისთვის მიეღწია. აქედან გამომდინარე, იმავე მეთოდით ცდილობს, ჩემზე რაიმე ზეგავლენა მოახდინოს.

კატეგორიულად მოვითხოვ, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მოახდინოს რეაგირება და გამოძიება დაიწყოს „სისხლის სამართლის კოდექსის“ 381-ე მუხლით, რათა დახურული სასამართლო სხდომის ოქმების გამოქვეყნება აღიკვეთოს. არა აქვს მნიშვნელობა, ჟურნალისტი იქნება, ადვოკატი თუ სხვა პირი, ვინც დახურული სასამართლოს სხდომის ოქმს გაასაჯაროებს, პასუხი უნდა აგოს 381-ე მუხლით.

და მეორე, გამოიძიონ ჩემი კავშირი ეკა ბესელიასთან და ნანა კაკაბაძესთან ერთად შეწყალების კომისიასთან რაიმე სახის ურთიერთობაში. გამოძიების შემდეგ მივმართავ სასამართლოს არა მარტო ოხანაშვილის წინააღმდეგ, პატივისა და ღირსების, სახელის გატეხისთვის და ინფორმაციის გავრცელებისთვის. თუკი ვერ გააკეთა ეს პროკურატურამ, ვერ აკეთებს ამას საქართველოს საპატრიარქო, გავაკეთებ მე, რომ ფარდა ავხადო, თუ ვინ არის სოსო ოხანაშვილი, რით იყო დაკავებული, ვინ დგას მის უკან და, საერთოდ, რას აკეთებდა ის საპატრიარქოში, – განუცხადა ჭკადუამ „ინტერპრესნიუსს“.

# რატომ გაურბის სომხეთი ნატოს

სომხეთი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ უსაფრთხოების პოლიტიკაში სერიოზული დილემის წინაშე იყო და რუსეთისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა. შემდეგ მან რუსეთთან ურთიერთობა დაალაგა და, ამ ქვეყნის ლიდერობით, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი გახდა.

ამ ორგანიზაციის წევრობიდან დღემდე მას მხოლოდ რუსეთთან აქვს სამხედრო თანამშრომლობა. სხვა წევრ ქვეყნებთან სამხედრო თანამშრომლობა დაბალ დონეზეა, ვინაიდან ამ ქვეყნების უმრავლესობა მთიანი ყარაბაღის პრობლემასთან დაკავშირებით სომხეთს მხარს არ უჭერს.

კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციასთან თანამშრომლობის პარალელურად, სომხეთმა ნატოსთან ურთიერთობისკენ პირველი ნაბიჯები გადადგა. მაგრამ ეს თანამშრომლობა რუსეთის ნებართვის ფონზე ხორციელდებოდა და არ განვითარდა.

ნატო-სომხეთის ურთიერთობებთან დაკავშირებით პრეზიდენტ რობერტ ქოჩარიანის „სომხეთს არ სურს ნატოს წევრობა“, თავდაცვის მინისტრ სერჟ სარქისიანის „სომხეთი არ ფიქრობს ნატოს წევრობაზე. ეს არ შეესაბამება ქვეყნის გეოსტრატეგიულ ინტერესებს“ და საგარეო საქმეთა მინისტრ ვარდან ოსკანიანის „სომხეთი არ არის მზად ნატოს წევრობისთვის, არც ნატო მზად არ არის სომხეთის მიღებისთვის“ განცხადებები კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებს.

სომხეთის ოფიციალური პირების ამ განცხადებების შეფასებისას აღინიშნა, რომ სომხეთი ნატოსთან ურთიერთობების დამყარებას არა პირდაპირ, არამედ რუსეთის გავლით ცდილობს. ამის საპასუხოდ ოსკანიანმა განაცხადა: „სომხეთი არასოდეს ყოფილა იძულებული, გაეკეთებინა არჩევანი ნატოსა და რუსეთს შორის“.



რუსულ მედიაში ვრცლად განიხილეს აგვისტოში საქართველოში ნატოს მიერ ჩატარებული სამხედრო სწავლება „ღირსეული პარტნიორი 2017“. ამ სწავლებაში სომხეთსაც უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ რუსეთის ზეწოლის გამო ამაზე უარი თქვა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სომხეთმა ბოლო მომენტში განაცხადა, რომ სწავლებაში არ მიიღებდა მონაწილეობას.

ამ განცხადების შემდეგ სომხეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ არტაკ ზაქარიანმა აღნიშნა, რომ სომხეთის რესპუბლიკას არასოდეს უთქვამს, რომ სწავლებაში მიიღებდა მონაწილეობას“.

ამის შემდეგ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა თქვა: „სომხეთის თავდაცვის სამინისტროს წინასწარ დადასტურებული ჰქონდა ნატოს სამხედრო სწავლებაში მონაწილეობა, მაგრამ, სამწუხაროდ, შემდეგ უარი თქვა“.

რამდენიმე თვის წინ აშშ-ის მთავრობამ განაცხადა, რომ სომხეთის ენერგეტიკის სექტორში 8 მილიარდ დოლარზე მეტი ინვესტიციის ჩადება შეუძლია, მაგრამ სომხეთის მთავრობამ ამ წინადადებას ოფიციალური პასუხი არ გასცა.

ერევნის ოფიციალურმა პირებმა იციან, რომ თუ გაითვალისწინებენ აშშ-ის მთავრობის შემოთავაზებას, მაშინ მთიანი ყარაბაღის პრობლემასთან დაკავშირებით დინამიკა შეიცვლება.

**ჰათემ ჯაბბარლი**
*პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი*


ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru


რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სალომე სამადაშვილმა გია ვოლსკის უჩივლა

## ვოლსკი: „ეს ჭირვეული პატარა გოგოს საქციელი იყო და გენდერი არ მიგულისხმია“

შორენა მარსაგიშვილი





პარლამენტის ვიცესპიკერი გია ვოლსკი შესაძლოა ქალების თავდასხმის ობიექტი გახდეს. მას კოლეგა სალომე სამადაშვილმა გენდერულ საბჭოში უჩივლა. ჩივილის მიზეზი საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე მომხდარი ინციდენტი გახდა, რომლის დროსაც ვიცესპიკერმა დეპუტატს „გოგოთი“ მიმართა.

გენდერულ საბჭოს სამადაშვილმა გუშინ, 12 ოქტომბერს, მიმართა. მან შესაბამისი მიმართვა პარლამენტის კანცელარიას ჩააბარა. გენდერული თანასწორობის საბჭო ქალთა უფლებებზე მუშაობს. მისი თავმჯდომარე პარლამენტის პირველი ვიცესპიკერი თამარ ჩუგოშვილია.

სალომე სამადაშვილი მიიჩნევს, რომ გია ვოლსკი გენდერულ დისკრიმინაციას ახდენს და ქალ კოლეგებს კნინობითი ფორმით მიმართავს.

– საქართველოში პოლიტიკაში ქალთა როლის გაძლიერება მნიშვნელოვანი ამოცანაა. პარლამენტში კვოტირების სისტემის შემოღებაზე ვფიქრობთ, რათა პარლამენტში ქალთა თანამონაწილეობა გავაძლიეროთ.

სამწუხაროდ, პარლამენტის უმაღლესი თანამდებობის პირებს, მათ შორის გია ვოლსკის, არ ესმის, რას ნიშნავს გენდერულად დისკრიმინაციული ენის გამოყენება და კნინობითი ფორმით მიმართვა ქალი კოლეგებისადმი.

გენდერული თანასწორობის საბჭოს მივმართავ, რომ 9 ოქტომბერს მომხდარი ინციდენტი განიხილონ და შესაბამისი რეაგირება მოახდინონ, რადგან ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ ქალებისთვის, რომლებსაც პოლიტიკაში მონაწილეობა სურთ, არამედ ყველა ქალისთვის, რომლებსაც სურთ, პროფესიულ გარემოში უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნონ თავი, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში სამადაშვილმა.

სანამ სამადაშვილი გენდერულ საბჭოში იჩივლებდა, ვოლსკი პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ანა დოლიძემ დაგმო. მან ვიცესპიკერს ურჩია, რომ სადმე ქუჩაში წაიბლატაოს.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს თამარ ჩუგოშვილი, ეს ჯერ ცნობილი არაა. თავად ვოლსკიმ ისეთი კომენტარები გააკეთა, შესაძლოა ახალ საჩივარს გამოჰკრას ხელი.

მან ოპოზიციონერი კოლეგის საქციელი „გაუწონასწორებელი, პატარა გოგონების“ ქცევას შეადარა.

დეპუტატი ამტკიცებს, რომ სამადაშვილისადმი მიმართვის დროს მას გენდერი არ უგულისხმია.

– როცა კოლეგა ლაპარაკობს და მას საუბარს მაღალ რეესტრში ყვირილით აწყვეტინებ, ეს ის საქციელია, რომელიც გაუწონასწორებელ, პატარა გოგონებს ახასიათებთ. ეს გენდერული საკითხი არ არის. გენდერი საერთოდ არ მიგულისხმია, მისი საქციელი ვიგულისხმე, რაც გათამამებული პატარა ბავშვის საქციელია. ასე ჩემი შვილიშვილი იქცევა ხოლმე. ჩემს ჭირვეულ შვილიშვილს თავი რომ დავანებოთ, ეს ჭირვეული პატარა გოგოს საქციელი იყო და გენდერი არ მიგულისხმია, – განაცხადა პირველ არხთან საუბარში ვოლსკიმ.

ვიცესპიკერის ბედი შესაძლოა დეპუტატმა ზაქარია ქუცნაშვილმაც გაიზიაროს, რომლის განცხადებამაც დეპუტატი თინა ბოკუჩავა გააღიზიანა.

10 ოქტომბერს თბილისის საკრებულოსთან ყოფილმა ხელისუფლებამ აქცია გამართა. აქციაში პარლამენტის წევრებიც მონაწილეობდნენ. მათ შორის იყო ბოკუჩავაც.

საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საკრებულოს შენობაში საკრებულოს წევრების, თანამშრომლებისა და ჟურნალისტების გარდა არავის უშვებდნენ. შენობას პოლიცია იცავდა და მას რკინის ჯებირები ჰქონდა შემოვლებული.

ბოკუჩავა რკინის ჯებირზე გადასვლასა და საკრებულოში შესვლას შეეცადა. ამ დროს მას პოლიციასთან შეხლა-შემოხლა მოუხდა. ამაში მისი ქმარი კოტე იოსელიანიც ჩაერია, რომელიც დააკავეს.

წესითა და რიგით, კოლეგები თინა ბოკუჩავას გვერდში უნდა დასდგომოდნენ. ამ დროს პირიქით მოხდა და მას საქციელი დაუგმეს.

ორიგინალური შეფასება ჰქონდა ზაქარია ქუცნაშვილს. მისი თქმით, კაცებზე გადაძრომა

### უჩივლებენ თუ არა ქუცნაშვილსაც?

და მიკროფონის გამოგლეჯა პარლამენტის წევრის შესაფერისი საქციელი არ არის.

მან ბოკუჩავას ძველი ცოდვაც გაუხსენა. ცოტა ხნით ადრე დეპუტატი პარლამენტის სპიკერს აუვარდა ტრიბუნაზე და მიკროფონი გამოსტაცა.

– როცა ის პოლიტიკური ჯგუფი ითხოვს იმ სხდომაში მონაწილეობას, რომელ პოლიტიკურ ჯგუფსაც საკრებულოში ფრაქცია ჰყავს, ლოგიკური შეკითხვა ისმის, შენს ფრაქციას არ ენდობი? შენი ფრაქცია ვერ დასვამს შეკითხვებს, რომლებიც შენ გაინტერესებს? თუ მიგაჩნია, რომ რადგან დეპუტატი ხარ, ამის გამო ან კაცებს უნდა გადააძვრე თავზე, ან ტრიბუნას უნდა მივარდე და წამყვანს მიკროფონი გამოსტაცო. თუ ეს პოლიტიკური ჯგუფი საკუთარ ფრაქციას არ ენდობა, განაცხადოს, რომ ნაციონალური მოძრაობა საკუთარ ფრაქციას არ ენდობა. კაცებზე გადაძრომა და მიკროფონის გამოგლეჯა, არა მგონია, პარლამენტის წევრის შესაფერისი საქციელი იყოს, – აღნიშნა ქუცნაშვილმა.

ისე, ქუცნაშვილს პასუხი ადა მარშანიასთვისაც უნდა მოეთხოვა. პარლამენტის სპიკერს ისიც მიუვარდა ტრიბუნასთან და მიკროფონი გადაუღუნა.

# ალეკო ელისაშვილი: „პლაკატებზე უარს ვამბობ და ქალაქს არ ავაჭრელებ“

– არქიტექტურული სიმახინჯეები ისედაც ეყოფა ამ ქალაქს, ამიტომ მე უარს ვამბობ პლაკატებზე და არ ავაჭრელებ ქალაქს, – აცხადებს თბილისის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი ალეკო ელისაშვილი.

როგორც ელისაშვილის მიმართვაშია აღნიშნული, პლაკატები და ბანერები ქალაქის იერსახეს ამახინჯებს.

– თქვენ, ალბათ, კარგად მოგეხსენებათ, რომ სულ ცოტა, 10 დღე დარჩა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე. ალბათ, თვალყურს ადევნებთ, როგორ აჭრელდა თბილისი, არა მხოლოდ საგანგებოდ გამოყოფილი ადგილები, ღობეები, შენობებია აჭრელებული სხვადასხვა პარტიის, მერობისა და მაჟორიტარობის კანდიდატების პლაკატებით. ყველამ კარგად ვიცით, რომ ეს პლაკატები მერე წლობით რჩება ხოლმე შენობებზე. გულახდილად ვთქვათ, ვისი პლაკატიც არ უნდა იყოს, ათასობით, ასიათასობით პლაკატი ამახინჯებს ხოლმე ქალაქის იერსახეს.

ალბათ, შეგიმჩნევიათ, რომ ჩემი არცერთი ბანერი არ არის თბილისში, სატელევიზიო რეკლამა ცოტაა და ჩემთვის ყველაზე იაფი პლაკატების დაბეჭდვა იქნებოდა. ერთხანს ვფიქრობდით კიდეც, ხომ არ დაგვებეჭდა, თანაც სხვადასხვა სტამბა თითქმის უფასოდ გვთავაზობდა ამ პლაკატების დაბეჭდვას, შემოწირულობის სახით ჩუქებას. მაგრამ არ მინდა ტრადიციული, ნაცადი, სტერეოტიპული პოლიტიკური გზით სიარული და არ მინდა, რომ ჩემი სახე, წლების განმავლობაში თბილისს ამახინჯებდეს. არქიტექტურული სიმახინჯეები ისედაც ეყოფა ამ ქალაქს, ამიტომ მე უარს ვამბობ პლაკატებზე და არ ავაჭრელებ ქალაქს.

ყველაზე მნიშვნელოვანია, თითოეული თქვენგანი მოხვიდეთ 21 ოქტომბერს არჩევნებზე, რადგან ეს არის გადამწყვეტი, ეს იქნება ბოლო არჩევნები, სადაც ბოლო შანსი იქნება, არჩევნების გზით რაღაც შევცვალოთ ამ ქვეყანაში, – აღნიშნულია ელისაშვილის მიმართვაში.

# ზაზა ხატიაშვილი: „ადვოკატთა კორპუსს ბიძინას მოურავები ვერ დააშინებენ“

ნონა ცაბაძე

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე **ზაზა ხატიაშვილმა** გუშინ საგანგებო ბრიფინგი გამართა.

როგორც იგი აცხადებს, ხელისუფლება ადვოკატების დაშინებას ცდილობს. ხატიაშვილი მამალაძის ადვოკატების პროკურატურაში დაბარების ფაქტს ეხმიანება და აცხადებს, რომ პროკურატურა ადვოკატებს აიძულებს, კლიენტთან საუბრის კონფიდენციალურობა დაარღვიოს, ეს კი ადვოკატთა ინსტიტუტის ნგრევას გამოიწვევს.

თუ ეს პრეცედენტი შეიქმნა, კლიენტს შეეშინდება, ადვოკატს რამე უთხრას და ასევე ადვოკატს შეეშინდება, კლიენტს რამე უთხრას, რადგან ადვოკატი აღარ იქნება დაცული კონფიდენციალურობის პრინციპიდან გამომდინარე.

– ადვოკატების დაშინების უფლებას არ მოგცემთ, – განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა.

***– ბატონო ზაზა, რის თქმა გინდათ, რომ ადვოკატების დაშინების მცდელობას აქვს ადგილი?***

– რა თქმა უნდა, აქვს. ადვოკატს ვერ დაიჭერენ და ვერ სცემენ, რადგან იციან, რომ ამისთვის სასამართლოს წინაშე აგებენ პასუხს. ადვოკატზე ზეწოლა კი შეუძლიათ ნებისმიერი ფორმით. მთავარია, ეს მოისურვოს ხელისუფლებამ. თუმცა იმ ფორმით, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებულ კონფიდენციალურობის პრინციპს შეეხნენ, ასეთი ზეწოლა უპრეცედენტოა. ადვოკატთა შესახებ კანონი და ეთიკის კოდექსი ადვოკატს ავალდებულებს, მხარესთან კომუნიკაცია, კონსულტაციაც კი, იყოს კონფიდენციალური, მიუხედავად დროისა.

***– რას ცდილობს პროკურატურა?***

– დღეს პროკურატურას მოუნდა, აღძრას საქმე ისეთი მუხლით, რომელიც არ ეხება საერთოდ სასამართლო სხდომაზე გაჟღერებულ ინფორმაციას. იქ ლაპარაკია გამოძიებასა და ოპერატიულ ინფორმაციაზე. ეს არარსებულია და ამაზე ადვოკატებს იბარებენ. აპრიორია, რომ ადვოკატებს აიძულებენ, მისცენ თავიანთი თავის საწინააღმდეგო ინფორმაცია. ეს დაუშვებელია!

***– შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მსგავს პრეცედენტს?***

– ამას თუ სახელმწიფო დაუშვებს, ნებისმიერ საქმეზე მეორე საქმეს აღძრავენ, მისცემენ სხვა ნომერს და იტყვიან, ეს სულ სხვა საქმეა. ამ საქმეში ხომ არ ხართ ადვოკატი, მე სრულიად სხვა საქმე აღვძარი. თუმცა შენ იმ საქმეზე რა ინფორმაციაც მიიღე, ახლა ამ ახალნომრიან საქმეზე მომეცითო. აი, რას ცდილობს პროკურატურა. იმდენად ტვინცხელები არიან, რომ იმავე სისხლის სამართლის საქმეს, ამ შემთხვევაში მამალაძის საქმეს, სხვა ნომერი მისცეს, ეს სრულიად სხვა საქმეაო.

***– ახალ საქმედ დაიწყეს ამის გამოძიება?***

– დიახ, დაიწყეს გამოძიება, იბარებენ ადვოკატებს, რომ ადვოკატმა მისცეს თავისი თავის საწინააღმდეგო ჩვენება. თუ მტკიცებულება აქვთ ადვოკატების წინააღმდეგ, მაშინ ამ მტკიცებულებაზე უნდა აწარმოონ გამოძიება და არა ადვოკატს დაუსვან კითხვა: რამიშვილო, შენ მიიტანე რუსთავი 2-ზე ეს ინფორმაცია?! ეს ეტყვის, რომ არა. თუმცა ეს ქმნის პრეცედენტს, რომ ადვოკატი შეიძლება დაკითხო იმ საქმეზე, რომელზეც ის იყო ადვოკატი. აი, ეს არის საშინელება. ეს იგივეა, ახლა რომ პროკურატურამ დაიბაროს ჩემი მოძღვარი და ზაზა ხატიაშვილმა რომ აღსარება ჩაგაბარა, მოგვიყევი, რა გითხრაო.



***– პროკურატურა ამბობს, რომ სხდომა იყო დახურული და ვიღაცამ მალულად გამოიტანა ინფორმაცია, რაც კანონდარღვევააო.***

– კი ბატონო, გასაგებია, მაგრამ იქ პროკურორი იყო, მოსამართლე, მოსამართლის თანაშემწე. ადვოკატებს რატომ ეცნენ?! არის 374-ე მუხლი, რომელშიც წერია: ეს მუხლი იმ შემთხვევაში ითვალისწინებს დასჯად ქმედებას, თუ მოხდა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მასალების ან გამოძიების მონაცემების გახმაურება იმ პირის მიერ, რომელიც კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული იყო მისი გახმაურების აკრძალვის შესახებ. კანონში არსად წერია სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენების გახმაურება. ადამიანის ჩვენება როდიდან გახდა ოპერატიული სამძებრო ინფორმაცია?!

***– რის მიღწევას ცდილობს პროკურატურა?***

– პროკურატურას უნდა, ამ საქმეზე ჩაკეტოს ყველანაირი ინფორმაცია, რომ არავინ გაიგოს, ამ საქმეში რა მასალები დევს და რისთვის იხდის სასჯელს დეკანოზი მამალაძე, ასევე – დააშინოს ადვოკატები, შეუქმნას პრეცედენტი, თუ ძალიან ბევრს იხმაურებთ, ჩვენ დაგიბარებთ დაკითხვაზე და ჩამოგაშორებთ ამ საქმესო.

***– ჩამოაშორებენ?***

– ადვოკატების დაკითხვა აპრიორი ნიშნავს იმას, რომ ისინი ამ საქმეს ჩამოშორდებიან.

***– მსგავსი პრეცედენტი თუ ყოფილა ბოლო პერიოდში?***

– სააკაშვილის დროს იყო და ახლა დაიწყო ბიძინა ივანიშვილის ფეოდალურმა ხელისუფლებამ ის, რაც მე მოვსპე სააკაშვილის რეჟიმის დროს.

***– ეს რას ნიშნავს, რომ ადვოკატთა კორპუსის დაშინება ხდება?***

– უნდათ, ადვოკატთა კორპუსს შეუქმნან პრეცედენტი, რომ ნებისმიერ ადვოკატს დაგვკითხავენ, როცა მოუნდებათ და კონფიდენციალურ ინფორმაციას ათქმევინებენ.

***– ეს გამოუვათ?***

– ადვოკატთა კორპუსს რომ ბიძინას მოურავები ვერ დააშინებენ, ეს ყველამ კარგად იცოდეს. დღეს ამის სულელური მცდელობაა. ისინი მიიღებენ ძალიან დიდ საპროტესტო მუხტს! ამას მე ვპირდები.

***– აქციებით იმუქრებით?***

– ეს ასე არ დარჩება! ევროსაბჭოში წავალ, იქ დავჯდები მისალებში. ევროპარლამენტის წინ დავჯდები და ამას ასე არ დავტოვებ!

# რატომ მოხსნეს რეგისტრაციიდან მერობის 21 კანდიდატი

## „ხელისუფლება ამომრჩევლებსა და კანდიდატებზე ზეწოლას ახორციელებს“

შორენა მარსაგიშვილი



არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე ოპოზიცია არჩევნების შესაძლო გაყალბებაზე აქტიურად ალაპარაკდა. ლეიბორისტული პარტიის წევრ გიორგი ჩიტაურის განცხადებით, სუსი და პოლიცია ამომრჩევლის დაშინებაზე გადავიდა.

– ხელისუფლება ხვდება, რომ არჩევნებში სათანადო ხმებს ვერ დააგროვებს და ამიტომ წინასწარ დაიჭირეს თადარიგი – მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს ამომრჩევლის დაშინება. მათ პირდაპირ ეუბნებიან, რომ ხმა „ქართულ ოცნებას“ უნდა მისცენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ პრობლემები შეექმნებათ, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში ჩიტაური.

მისივე თქმით, ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა საზღვრისპირა რეგიონებში.

– ამ მხრივ გამონაკლისი არც სამცხე-ჯავახეთის რეგიონია. ამ ზეწოლამ შესაძლოა აქ ეთნიკურ ნიადაგზე რაიმე დაპირისპირება გამოიწვიოს, რასაც ძალიან კარგად გამოიყენებს რუსეთი, – აღნიშნავს ლეიბორისტული პარტიის წევრი.

ჩიტაურის განცხადებით, ამომრჩევლის გარდა, ზეწოლა თავად კანდიდატებზეც მიმდინარეობს.

– ალბათ შემთხვევითობას არ უნდა დავაბრალოთ, რომ არჩევნებამდე ათიოდე დღით ადრე თბილისსა და რეგიონებში მერობის 21 კანდიდატი მოიხსნა რეგისტრაციიდან. ხელისუფლება სხვადასხვა მეთოდით აწარმოებს მათზე ზეწოლას და ისინიც იძულებული არიან, უარი თქვან არჩევნებში მონაწილეობაზე, – განაცხადა ჩიტაურმა.

ამ 21 კანდიდატიდან რამდენიმე ცესკომ დოკუმენტებში აღმოჩენილი ხარვეზების გამო მოხსნა.

„ახალი ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერი გოჩა ჯოჯუა უკვე დარეგისტრირებული იყო, როგორც თბილისის მერობის კანდიდატი. არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე მან კანდიდატურის მოხსნა გადაწყვიტა და ეს პატრიოტთა ალიანსის სასარგებლოდ გააკეთა.

გოჩა ჯოჯუასგან ასეთი გადაწყვეტილება მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, რადგანაც ის პატრიოტთა ალიანსის საპარლამენტო ფრაქციის აპარატის უფროსია.

ამის მიუხედავად, ლეიბორისტებს კითხვები მაინც აქვთ. ჩიტაურის თქმით, გოჩა ჯოჯუა მაშინაც აპარატში მუშაობდა, როცა კანდიდატურა წარადგინა.

– კანდიდატურა მარტო ჯოჯუას რომ მოეხსნა, კიდევ არ გაჩნდებოდა ეჭვი, მაგრამ მისი პარტიიდან კიდევ რამდენიმე მერობის კანდიდატმა თქვა უარი არჩევნებში მონაწილეობაზე, – ამბობს ლეიბორისტი.

მას ეეჭვება, რომ „ახალმა ქრისტიან-დემოკრატებმა“ ასეთი გადაწყვეტილება პატრიოტთა ალიანსთან მეგობრობის ხათრით გააკეთეს. მიაჩნია, რომ ამაში ხელისუფლების ხელი ურევია.

„ახალი ქრისტიან-დემოკრატებიდან“ არჩევნებში მონაწილეობაზე უარი ქუთაისის მერობის კანდიდატმა გიორგი გოგელაშვილმაც განაცხადა. ის კანდიდატურის მოხსნას ფინანსების არქონას უკავშირებს.

ქუთაისში მასთან ერთად არჩევნებზე უარი პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატებმაც თქვეს.

„ახალი ქრისტიან-დემოკრატებიდან“ არჩევნებში მონაწილეობას აღარ მიიღებენ ზესტაფონის, საჩხერისა და ჭიათურის მერობის კანდიდატები.

თამაზ დოლაძემ, მალხაზ კაპანაძემ და კახაბერ კიკნაველიძემ კანდიდატურები პატრიოტთა ალიანსის სასარგებლოდ მოხსნეს.

კანდიდატურები მთელ რიგ რაიონებში თავად პატრიოტთა ალიანსმაც მოხსნა, მათ შორის ზესტაფონშიც. აქ მათგან კენჭს გიგა გაბრიჭიძე იყრიდა.

ზესტაფონის გარდა, პატრიოტებს მერობის კანდიდატები აღარ ეყოლებათ ლაგოდეხსა და ოზურგეთში. შოთა გოგიბერიძემ კანდიდატურა ოზურგეთის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის კოტე შარაშენიძის სასარგებლოდ მოხსნა. ბოლო დროს მის წინააღმდეგ მედიაში კომპრომატები გამოქვეყნდა. შარაშენიძის გარემოცვა ფიქრობს, რომ ამის უკან „ოცნება“ დგას. ოზურგეთში ამბობენ, რომ „ოცნების“ მერობის კანდიდატს შარაშენიძესთან ბრძოლაში სერიოზული პრობლემები შეექმნება.

– სადაც ძლიერ კანდიდატს ნახავენ, იქ შეეცდებიან, ყველა მეთოდი გამოიყენონ. არ გამოვრიცხავ, სხვა კანდიდატებზეც გამოაქვეყნონ კომპრომატები, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში გიორგი ჩიტაური.

მისი განცხადებით, კანდიდატებზე და ამომრჩეველზე ზეწოლის ფაქტები განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთის რეგიონშია თვალშისაცემი.

– ამ რეგიონში მარტო გიორგი ვაშაძის პარტიიდან მერობის სამმა კანდიდატმა თქვა არჩევნებში მონაწილეობაზე უარი. ეს ფაქტი სერიოზულ ეჭვებს ბადებს. ასეთ ფაქტებს ჩვენი საზოგადოება უფრო სერიოზულად უნდა მიუდგეს, – აღნიშნავს ჩიტაური.

ცესკოს ინფორმაციით, ვაშაძის „ახალი საქართველოდან“ მერობისთვის ბრძოლაზე უარი არზუმან ზოოროღლიანმა, არკადი საჰაკიანმა და გალუსტ მკრტჩიანმა თქვეს. მათ ბედი ახალციხეში, ადიგენსა და ასპინძაში უნდა ეცადათ.

ამ რეგიონში კანდიდატურა მოხსნა ნინოწმინდაში მერობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა ანდრანიკ კარსლიანმაც.

ვაშაძის პარტია მერობის კანდიდატს მარნეულშიც დაემშვიდობა. აქ მათი კანდიდატი ფუად კახრამანოვი იყო.

ქვემო ქართლში მერობის ერთით ნაკლები კანდიდატი ეყოლება „ევროპულ საქართველოს“. მათი კანდიდატი თეთრიწყაროში გამოეთიშა ნაადრევად საარჩევნო მარათონს.

მსგავსი დანაკლისი განიცადა ნინო ბურჯანაძის პარტიამ ცაგერსა და ზუგდიდში.

– არჩევნებამდე ერთი კვირაა დარჩენილი და, არ გამოვრიცხავ, რომ დროის ამ მონაკვეთში კიდევ ბევრმა კანდიდატმა თქვას უარი არჩევნებში მონაწილეობაზე. მათზე სერიოზული ზეწოლა მიმდინარეობს, – აცხადებს ჩიტაური.

მისი თქმით, სანამ დროა, ოპოზიციამ რაღაც ზომები უნდა მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლება ტოტალურად გააყალბებს არჩევნებს.

– რამდენიმე პარტიამ უკვე შექმნა საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც ერთობლივად აპირებს ბრძოლას არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ეს საკმარისი არ არის და მთელი ოპოზიციის გაერთიანება უნდა მოხდეს, – ამბობს ლეიბორისტული პარტიის წევრი.

# ვახტანგ ხმალაძე: „პროპორციული არჩევნებით ერთ პარტიას კონსტიტუციური უმრავლესობა არ ექნება“

ნათია ხურცილავა



პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, „შენების პარტიის“ წევრი **ვახტანგ ხმალაძე,** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პრეზიდენტის მე-10 ვეტოსა და უმრავლესობის პოზიციებზე საუბრობს.

***– ბატონო ვახტანგ, პარლამენტმა რიგგარეშე სხდომა მოიწვია, სადაც პრეზიდენტის ვეტოს კენჭს უყრიან. როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ამბობენ, პრეზიდენტის მე-10 ვეტოსაც დაძლევენ. კონსენსუსი, რომელზეც იყოს საუბარი, ვერ შედგა. პროცესს როგორ შეაფასებთ?***

– მოულოდნელი ამაში არაფერია. იმთავითვე ცნობილი იყო, რომ პრეზიდენტის ვეტო დაიძლეოდა. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები თავიდანვე აცხადებდნენ, რომ თუ ვეტო შეეხებოდა სხვა საკითხებს, გარდა იმ ორი შეთავაზებისა, რომლებიც ჰქონდა პარლამენტის თავმჯდომარეს, რომელიც ასევე ემთხვეოდა ვენეციის კომისიის რეკომენდაციების ნაწილს, პარლამენტის უმრავლესობა ვეტოს დაძლევდა. ამას ამბობდნენ კიდეც და ასეც მოიქცევიან კენჭისყრის დროს.

***– რამდენად არის ეს მისაღები?***

– ეს სხვა საკითხია. რასაკვირველია, კარგი არ არის ის, რომ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა 2024 წლამდე გადაიდება. ეს ჩემთვის ნამდვილად არ არის მისაღები და ამას ვერ მოვიწონებ. ეს არის ცუდი ფაქტი, მაგრამ ეს არის ის რეალობა, რომელშიც ვართ.

***– საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე კახიანი არ გამორიცხავს, რომ პრეზიდენტი ოპოზიციური ჯგუფების გავლენის ქვეშ იყო, როდესაც ვეტო არსებული სახით წარადგინა პარლამენტში. თქვენ, როგორც ოპოზიციის წევრს, გეკითხებით, რეალურად პრეზიდენტი გავლენის ქვეშ იყო?***

– არ არის გამორიცხული, თუმცა ამ კითხვაზე რეალური პასუხის გაცემა თავად პრეზიდენტს შეუძლია, რადგან მე არ შემიძლია დაგიდასტუროთ, იქონია თუ არა გავლენა პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე ვინმემ.

***– პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ: ორპალატიანი პარლამენტი თუ ამოქმედდება, შეიძლება პრეზიდენტი არჩეულ იქნეს არაპირდაპირი წესით, ხმოსნების მიერ. იზიარებთ ამ მოსაზრებას?***

– ამ პარლამენტის მიერ, ვგულისხმობ შერეული სისტემით არჩეული პარლამენტის მიერ პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევა არის არასწორი. არსებული საარჩევნო სისტემა იძლევა იმის საფუძველს, რომ კონსტიტუციური უმრავლესობა, მაღალი ალბათობით, ჰქონდეს სახელისუფლებო პარტიას, ვინც არ უნდა იყოს ხელისუფლებაში. მათ მიერ არჩეული პრეზიდენტი, გნებავთ, ხმოსნების მიერ არჩეული პრეზიდენტი კი იქნება ერთპარტიული პრეზიდენტი. აქ კი თავს იყრის რისკები იმისა, რომ ასეთი გზით არჩეული პრეზიდენტი ვერ იყოს ნეიტრალური არბიტრი.

***– ორპალატიანი პარლამენტი ამ რისკებს მოხსნის?***

– ორპალატიან სისტემაში ერთი პალატა აირჩევა პროპორციული წესით, მეორე – მაჟორიტარულით. თუ მაჟორიტარული სისტემა უპირატესობას აძლევს ხელისუფლებაში მყოფ პარტიას, მეორე პალატაში უმრავლესობა ექნება ხელისუფლებაში მყოფ პარტიას. შესაბამისად, რა გამოდის: თხა ვიყიდე, თხა გავყიდე, სარგებელი ვერა ვნახე. ამიტომ ჩემთვის ორპალატიანი პარლამენტი არ არის არგუმენტი.

***– თუმცა, გამოითქვა მოსაზრება, რომ ორპალატიანი პარლამენტი არის გამოსავალი.***

– როდესაც ერთ პოლიტიკურ ძალას აქვს პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობა, საკონსტიტუციო უმრავლესობა და ის ვერ ბალანსდება, დგება პოლიტიკური ლეგიტიმაციის პრობლემა, მაშინ გააკეთა დავით უსუფაშვილმა შეთავაზება, კარგი იქნებოდა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა ანუ პრეზიდენტის არჩევის წესის საკითხი მომდევნო პარლამენტში გადატანილიყო და სწორედ მომდევნო პარლამენტს გადაეწყვიტა ის. თუმცა, მე დავამატებდი, გადადებულიყო იმ დრომდე, სანამ პარლამენტი არ აირჩევა პროპორციული წესით. პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნები კი ნიშნავს, რომ ერთ პარტიას კონსტიტუციური უმრავლესობა აღარ ექნება.

## ანა დოლიძე: „ჩვენ ვიხილეთ უფრო მეტი დაინტერესება ჩემი პოლიტიკური მომავლითა და ბიოგრაფიით, ვიდრე ვეტოს შინაარსით“



– ჩვენ ვიმყოფებით პოლიტიკის განმსაზღვრელ უმაღლეს ორგანოში, სადაც, სამწუხაროდ, ვიხილეთ უფრო მეტი დაინტერესება ჩემი პოლიტიკური მომავლითა და ბიოგრაფიით, ვიდრე ვეტოს შინაარსით.

ამის შესახებ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გამართულ კამათთან დაკავშირებით პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ანა დოლიძემ განაცხადა.

მისი შეფასებით, უმრავლესობის მხრიდან იყო ნაკლები სურვილი, საუბარი წარმართულიყო არგუმენტებისა და საკუთრივ ვეტოს შინაარსის გარშემო.

– სამწუხარო ფაქტია, რომ იყო სურვილი თავდასხმისა როგორც ჩემ, ასევე პრეზიდენტის მიმართ, – აღნიშნა ანა დოლიძემ.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მხრიდან გამოთქმული პოზიციების მიუხედავად, დოლიძემ იმედი გამოთქვა, რომ პარლამენტი საკონსტიტუციო ცვლილებებზე პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებს გაიზიარებს.

## დავით ოქიტაშვილი: „ლიკა ქავჟარაძეს ვარსკვლავს ვეღარ გავუხსნით“



საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტ დავით ოქიტაშვილის განცხადებით, ლიკა ქავჟარაძის ვარსკვლავი აღარ გაიხსნება.

როგორც ოქიტაშვილი აცხადებს, მიცვალებულის სახელობის ვარსკვლავი ზოგადად არ იხსნება, მაგრამ, მისივე განცხადებით, გაკეთდება ხეივანი, სადაც ლიკა ქავჟარაძის სახელი და გვარი საპატიო ადგილს დაიკავებს.

– ლიკას პირდაპირ ეთერში შევთავაზე მისი სახელობის ვარსკვლავის გახსნა. ის ნამდვილად იმსახურებდა ვარსკვლავს, როგორც ნიჭიერი მსახიობი და ქართველი ქალის სილამაზის სიმბოლო. უფრო ადრეც ვუთხარი, მაგრამ უარი თქვა, კარგად არ ვარ და გთხოვთ, გადავდოთო. შემდეგ სიურპრიზი მოვუწყვე და პირდაპირ ეთერში იმიტომ ვუთხარი, რომ უარი ვერ ეთქვა.

დეკემბერში გვქონდა დაგეგმილი ვარსკვლავის გახსნა, უკვე ყველაფერს ვგეგმავდით, მაგრამ ლიკას გარდაცვალებით იმდენად ვარ შეძრული, სიტყვებით ვერ გადმოვცემ! სამწუხაროდ, მიცვალებულის სახელობის ვარსკვლავი არ იხსნება, მაგრამ ხეივანს ვაკეთებთ, სადაც ლიკა ქავჟარაძის სახელი და გვარი საპატიო ადგილს დაიკავებს, – აცხადებს ოქიტაშვილი.

# სახელმწიფო არ არის მეწველი ძროხა, ანუ როგორ ვიქცეთ საზოგადოებად

## ქართველი უნდა მიხვდეს, რომ თუ კერძო მამულის მიღმა ეროვნულ მამულზეც იზრუნებს, ეს მის მამულს მხოლოდ წაადგება

გიორგი უძილაური

ლიკა ქავჟარაძის გარდაცვალების ფაქტმა ქართულ სოციალურ ქსელებში კიდევ ერთხელ წამოსწია დღევანდელი ქართველი საზოგადოების მორალური სახის პრობლემები.

ბოღმა, ღვარძლი, ნიშნისმოგება, ზედაპირულობა, მიდრეკილება ნეგატივისკენ, აგრესია, პესიმიზმი, ფარისევლობა – ფეისბუქში განიხილება თითქმის ყველა მანკიერება. რაც ყველაზე საინტერესოა, ამ მანკიერებებს აღიარებს ყველა, მათ შორის ისინიც, ვინც თავად არის დაავადებული საზოგადოების მანკიერებებით.

ბოლო პერიოდში ამ პრობლემას სულ უფრო ხშირად ვახსენებთ, რაც უდავოდ ძალიან პოზიტიური სიგნალია ქართველი საზოგადოებისთვის. დიდი ხანია დროა, საზოგადოების წიაღიდან ზედაპირზე ამოვიდეს ჩვენი შინაგანი პრობლემები. პრობლემებს დანახვა და მოგვარება სჭირდება და არა – დამალვა და მაკიაჟით შელამაზება. ერთია უცხოელი ტურისტის თვალში არსებული ქართველის რომანტიკული პორტრეტი (სტუმართმოყვარე, მხიარული, ლაღი, კეთილი) და მეორეა რეალური სახე, ის სახე, რომლის ყურებაც თავადვე არ გვსიამოვნებს.

მოკლედ, ჩვენ ყველას გვაქვს საერთო პრობლემა, რომელსაც ისევ ჩვენვე თუ ვუშველით... ან არ ვუშველით.

ჩავთვალოთ, რომ საზოგადოება არის ინტერესების, მიზნებისა და ღირებულებების ერთობა ერის ან სახელმწიფოს ფარგლებში.

რა კრიტერიუმებით შეიძლება გვეწოდოს ჩვენ, ქართველებს, საზოგადოება?

გვაქვს საერთო ეთნიკურობა, გვაქვს ჩვენი სახელმწიფო და გვაქვს თითქმის ყველასთვის საერთო რელიგია, ანუ ჩვენი ფორმულა „ენა, მამული, სარწმუნოება“ ფორმალურად მუშაობს, ყველა წინაპირობაა, ვიყოთ საზოგადოება, მაგრამ ფაქტია, რომ ვერ ვართ, არ ვგავართ საზოგადოებას, რომელიც საკუთარ თავს აღიქვამს ერთიანი ინტერესების, მიზნებისა და ღირებულებების მქონე გაერთიანებად ან ერთობად.

საქართველოსთვის სიტყვა „ერთობა“ ცოტა საშიშია, რადგან ამ სიტყვით არაერთხელ მანიპულირებდა არაერთი პოლიტიკოსი ან პოლიტიკური გუნდი. საბჭოთა ეპოქამ და სააკაშვილის რეჟიმმაც დაამტკიცა, რომ ქართველი ერი ჯერ არ დგას საზოგადოებრიობის იმ სიმაღლეზე, რომ თავი დაიცვას ავტორიტარიზმისა და ტოტალიტარიზმისგან. მართალია, ბოლო 5 წლის განმავლობაში ქვეყანა ნელ-ნელა ეჩვევა თავისუფლებასა და არაძალადობას, მაგრამ არც ესაა საკმარისი ძლიერი საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის. „ენა, მამული, სარწმუნოება“ აღარ არის საკმარისი საიმისოდ, რომ საზოგადოება გაიზარდოს.



განვითარებისთვის დღევანდელ ქართველ საზოგადოებას აკლია რამდენიმე უმნიშვნელოვანესი თვისება:

1. საზოგადოების უდიდესი უმრავლესობა სახელმწიფოს აღიქვამს არა როგორც საკუთარ სახლსა და კარ-მიდამოს, არამედ, როგორც მეზობლის მეწველ ძროხას. ქართველმა დღემდე ვერ გაიგო საერთო საკუთრებისა და თანასაკუთრების მნიშვნელობა;

2. ქართველი საზოგადოება არასოლიდარულია. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ გამოაჩინა, რომ ლეგენდარული საბჭოური სოლიდარობა, „გვერდში დგომა“, „გაგება“, „ტფილისი იყო ურთიერთობა“, თურმე დამყარებული იყო შემოსავალზე. გადაიკეტა შემოსავლის წყარო და გაქრა „საბჭოური ლეგენდარული სოლიდარობაც“. დღეს სოლიდარობა გაქრა არა მხოლოდ უცხოს მიმართ, არამედ სანათესავოშიც (აშკარაა, რომ ქვეყანაში ნელ-ნელა იშლება ნათესაური კავშირები). სოლიდარობის გარეშე კი ვერ შეიქმნება ამა თუ იმ საერთო პრობლემის გადაჭრაზე მზრუნველი გუნდი.

3. ქართველი საზოგადოება არაკოლექტიურია. კოლექტიური ქმედების დონე ქართველებში იმდენად დაბალია, რომ ძალიან რთულია, ახლო მომავალში დაინახო საზოგადოების განვითარების მინიმალური პერსპექტივა.

კოლექტიურობის დეფიციტს ქართველებში განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი, მათ შორისაა სახელმწიფოსადმი, როგორც მეწველი ძროხისადმი დამოკიდებულებაც, სოლიდარობისადმი ფარისევლური ან საჩვენებლად ზედაპირული დამოკიდებულებაც და სიღარიბეც.

რატომ არ გადიოდა მოსახლეობის 95% სააკაშვილის რეჟიმის გასაპროტესტებლად? იმიტომ, რომ ელოდა ვიღაც სხვას, ვინც ამ პრობლემას მოსახლეობის სანაცვლოდ გადაწყვეტდა.

რატომ არ გვაქვს ძლიერი პროფკავშირები? იმიტომ, რომ ვთვლით, რომ ჩვენი შრომითი უფლებები უნდა დაიცვას ვიღაც სხვამ, ან მეწველმა ძროხამ, ან მესიამ ან თავად იმ მწირმა ენთუზიასტებმა, რომლებიც სხვების ნაცვლად გადიან დემონსტრაციებზე სრულფასოვან საზოგადოებად ჩამოყალიბებისთვის ორი გზა არსებობს. პირველია ხელისუფლების ნება, შესაბამისი კანონების შემოღება და მათი გატარების უზრუნველყოფა, პიარული აქციები, ეკონომიკური შეღავათები და სოციალური პროგრამები. ამ გზის ეფექტურობა მისი ოპერატიულობაა, დეფექტურობა კი ხელოვნურობაა. თუ გსურს ლატენტური მონობის სინდრომით დაავადებული სოციუმის გადაკეთება ჯანსაღ საზოგადოებად, და ამას ახორციელებ სოციუმისთვის დავალების მიცემით, მისი არსი არ შეიცვლება, სოციუმი ამას შეასრულებს ისევ ლატენტური მონობის გამო და არა იმიტომ, რომ თავად მივიდა დასკვნამდე.

სააკაშვილმა უკვე სცადა ერის გადაკეთება და შედეგად რაც მიიღო, ყველამ ნახა.

მეორე გზა არის თავად ქართველ საზოგადოებაში და პრეცედენტებში. საზოგადოების გათითოკაცება მოცემულობაა და საჭიროა ამ მოცემულობიდან ამოსვლა. საქართველოში ადამიანები ამოდიან რაციონალური და მერკანტილური ინტერესებიდან, მათ ამოძრავებთ არა ერის ზოგადი ინტერესები, არამედ პირადი, ოჯახის ფარგლებს არგაცილებული ინტერესები, მათთვის თანასაკუთრება მხოლოდ საკუთრებაა, ხოლო „მამული“ მხოლოდ მაღალი ღობით შემოფარგლული პირადი მამული ან გისოსებში ჩასმული ბინა.

მხოლოდ ამ რეალობის გათვალისწინებით უნდა მოხდეს ნაბიჯების წინ გადადგმა. ქართველების საზოგადოებად ქცევისთვის საჭიროა არა მათი იძულება და დანამუსება, არამედ დაინტერესება. ქართველი უნდა მიხვდეს, რომ თუ კერძო მამულის მიღმა ეროვნულ მამულზეც იზრუნებს, ეს მის მამულს მხოლოდ წაადგება, რომ თავისნაირისადმი სოლიდარობით ის საკუთარ ინტერესებსაც დაიცავს, რომ კოლექტიური ქმედების ხარისხის ზრდა გაზრდის ამ კოლექტივში ჩართული ინდივიდების გავლენასაც, შემოსავალსაც და პერსპექტივებსაც.

სახელმწიფო აპარატმა და მედიამ მხოლოდ ხელი უნდა შეუწყოს ამგვარი პრეცედენტების პოპულარიზაციას, დანარჩენს თავად სოციუმი გააკეთებს.

ამის კარგი მაგალითები არის – ნაგვის დაყრა უკვე სირცხვილად ითვლება, სულ უფრო მიუღებელია შშმპ-ების გარიყვა, ოჯახური ძალადობა, ჩაცმულობის ან ვარცხნილობის კრიტიკა... ხვალ მიუღებელი უნდა გახდეს დაცინვა, აბუჩად აგდება, ჭორაობა, სეირის მაყურებლობა, საზოგადოებრივი საკუთრების დაზიანება, მოპარვა, კორუფცია, გულგრილობა, არასოლიდარულობა, ფარისევლობა და ა.შ.

ყველა ადამიანს ამოძრავებს პირადული ინტერესები, ქართველები გამონაკლისი არ ვართ, უბრალოდ, ქართველებმა ჯერ არ ვიცით, რომ საზოგადო ინტერესები შეიძლება ასევე ეხმარებოდეს ჩვენს პირადულ ინტერესებს, ჩვენი აქტიურობა სხვებისთვის, შეიძლება ჩვენთვისაც კარგი იყოს, ქვეყნის კარგად ყოფნა ჩვენს კარგად ყოფნასაც გულისხმობდეს.

საჭიროა პრეცედენტების პოპულარიზაცია და რაღაც მომენტში სოციუმში ინერციით გამოჩნდება თანასაკუთრების, სოლიდარობისა და კოლექტივიზმის ახალი პრეცედენტები. ამის შემდეგ საზოგადოება უკვე შეიძლება ჩაითვალოს შემდგარად, ხოლო განვითარება – გარდაუვლად.

არავისზე ნაკლები არ ვართ.

# ბაკურიანი ზამთრის სეზონს მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურითა და ანტისანიტარიით ხვდება

ზამთრის სეზონს ბაკურიანი ძველი პრობლემებით ხვდება, კურორტზე ინფრასტრუქტურა კვლავ მოუწესრიგებელია. სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ანტისანიტარიაც. კურორტზე გასართობი დაწესებულებების სიმცირეა. როგორც ბაკურიანში მდებარე სასტუმროების წარმომადგენლები „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებენ, რეგიონი ვითარდება, თუმცა ამისთვის სწრაფი ტემპებია საჭირო.



„კომერსანტთან“ საუბრისას Hotel Mgzavrebi Bakuriani-ს ქსელის გენერალური მენეჯერი ნიკო ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ სასტუმროში ნომრები ახალი წლისთვის უკვე დაჯავშნილია, ხოლო ამჟამად სასტუმროს ნომრების 50%-ზეა ჯავშანი. რაც შეეხება რეგიონში არსებულ პრობლემებს, ლორთქიფანიძის აზრით განსაკუთრებით მწვავედ ინფრასტრუქტურული პრობლემები დგას.

– ჩვენ სასტუმროში ნომრები ახალი წლისთვის 50%-ით არის დაჯავშნილი. მიუხედავად იმისა, რომ ბაკურიანში როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ტურისტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, რეგიონი ძალიან ბევრი პრობლემის წინაშე დგას – მოუწესრიგებელია ინფრასტრუქტურა, ინტერნეტიზაციის პრობლემებია და გასართობი ადგილები თითქმის არ არის. თუმცა ამჟამად ჩვენთან კოხტაგორის მთისკენ მიმავალი გზის დაგება ხდება. რა თქმა უნდა, ბაკურიანი ვითარდება, თუმცა გზასთან დაკავშირებული პრობლემები მაინც არსებობს. ხშირია ქვეითთა გადასასვლელების არ არსებობა.

რაც შეეხება გასართობ ადგილებს ბაკურიანში ამის პრობლემა ნამდვილად დგას, თუმცა სასტუმრო ცდილობს, რომ ეს სერვისი დამსვენებლებს თავად შესთავაზოს, – აღნიშნა ლორთქიფანიძემ.

რეგიონში მოუწესრიგებელ ინფრასტრუქტურაზე და გასართობი ადგილების ნაკლებობაზე საუბრობს სასტუმრო Snow Plaza-ს მენეჯერი ნანა ომანიძეც. გარდა ამ პრობლემებისა მენეჯერი ბაკურიანში არსებულ ანტისანიტარიასაც უსვამს ხაზს.

– ამ ეტაპზე ჯავშნების საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს.

რაც შეეხება რეგიონში არსებულ პრობლემებს, გზების მოწესრიგება პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ. ასევე ანტისანიტარიასთან დაკავშირებული პრობლემებია. ტურისტისთვის მტვრიან გარემოში დასვენება გაუსაძლისია, რაც სასტუმროზეც აისახება. რეგიონში ასევე გაზიფიკაციის და ელექტროენერგიის პრობლემა დგას. ამ პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით მთავრობის მხრიდან ახალი არაფერი მომისმენია.

ასევე მეტი გასართობი ადგილი უნდა არსებობდეს, რომელიც მთელი წლის განმავლობაში იმუშავებს და ამას მხოლოდ სეზონური სახე არ ექნება, – განმარტა ომანიძემ.

ბაკურიანში არსებულ პრობლემებზე საუბრობს, Hotel Crystal-ის დამფუძნებელი ქეთევან ხარაძეც. ხარაძეს მიაჩნია, რომ ბაკურიანს ამ ეტაპზე კურორტის სახე არ აქვს.

– ინფრასტრუქტურის პრობლემა როგორც სხვა სასტუმროებს რა თქმა უნდა, ჩვენც გვაწუხებს. ასევე ბაკურიანში არ არის გასართობი ადგილები. აღნიშნული პრობლემების გამოსწორებასთან დაკავშირებით რაღაც კეთდება, თუმცა სამომავლოდ რა იქნება, არ ვიცით. პრობლემების მოსაგვარებლად საჭიროა დაბის განვითარება და სასურველია, რომ ამ მიმართულებით სწრაფი ნაბიჯები გადაიდგას. ბაკურიანი უნდა დაემსგავსოს ნამდვილ კურორტს და არ უნდა ჰგავდეს სოფელს.

რაც შეეხება ჯავშნებს, ძირითადად მას ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ვიღებთ, – აღნიშნა ქეთევან ხარაძემ.

„კომერსანტთან“ საუბრისას, ბაკურიანის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი მარიკა მანკიევი აცხადებს, რომ ამ ეტაპზე რეგიონში ძირითად პრობლემას სველი წერტილების არარსებობა წარმოადგენს.

# კომპანია „გრინ დეველოპმენტმა“ ბაზარზე 2 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის ობლიგაციები გამოიტანა



დეველოპერულმა კომპანია „გრინ დეველოპმენტმა“ ბიზნესის განვითარებისთვის ბაზარზე 2 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის 40 000 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების 50 ცალი ობლიგაცია გამოიტანა, წლიური 11%-იანი სარგებლის დარიცხვით.

ინვესტიციის მოზიდვის მიზანს სამშენებლო ბიზნესის გაფართოება წარმოადგენს. ამის შესახებ კომპანიის წარმომადგენლებმა სასტუმრო „Biltmore“-ში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადეს. პრეს-კონფერენციას ესწრებოდა როგორც სამთავრობო, ისე კერძო სექტორი.

ეკონომიკის მინისტრის მოადგილის გიორგი ჩერქეზიშვილის განაცხადებით, „ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივა. ეკონომიკის სამინისტრო მიესალმება ამ ინიციატივას, მითუმეტეს მიმდინარეობს კაპიტალის ბაზრის ფორმირების რეფორმა და მთავრობა ეროვნულ ბანკთან ერთად ჩართულია ამ პროცესში.“

კომპანიამ ფასიანი ქაღალდების განთავსების ლეგიტიმური უფლება მას შემდეგ მოიპოვა, რაც მას საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ემისიის პროსპექტი დაუმტკიცა და დაურეგისტრირა 2017 წლის 6 სექტემბრის № 94 განკარგულებით.

– ჩვენ გამოვუშვით 2 მილიონი დოლარის ნომინალის ფასიანი ქაღალდები, რომელიც გახლავთ ორწლიანი და 11%-იანი საპროცენტო განაკვეთი. მისი ნომინალური ღირებულება გახლავთ 40.000 აშშ დოლარი. ეს მოხმარდება მხოლოდ „მწვანე უბანი ლისთან“ პროექტის საქმიანობას. ამ ეტაპზე უბნის მშენებლობა სამ ნაწილად არის დაყოფილი. პირველი ეტაპი ფაქტიურად დასრულების ეტაპზეა. 4 სახლს ვაბარებთ თეთრი კარკასით და ექსპლუატაციაში ეს ნაწილი ნოემბერ-დეკემბერში ჩაბარდება. ფასიანი ქაღალდების შესაძენად ძალიან მარტივი პროცედურებია გასავლელი, – განაცხადა კომპანია „გრინ დეველოპმენტის“ ერთ-ერთმა დირექტორმა მამუკა მაჭავარიანმა.

# ლიბერთი ბანკი კამპანია „ევროპა სახლიას" მხარდამჭერი გახდა

აღნიშნული კამპანია ეხმიანება ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიას 2017-2020 წლებისთვის. კერძოდ, ერთ-ერთ ძირითად გზავნილს: „საქართველოს ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანების პროცესი ხელს უწყობს ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის საჭირო უსაფრთხო და კონკურენტული გარემოს შექმნას".

და შემდეგ ამოცანებს:

საზოგადოებაში ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებული მოლოდინის მართვა;

საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების უპირატესობის, სარგებლისა და შესაძლებლობის წარმოჩენა ქვეყნის მოსახლეობისთვის მარტივად გასაგები, ობიექტური ინფორმაციის რეგულარული მიწოდებით და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.



აღნიშნული კამპანია ხორციელდება პროექტის „პარტნიორობა მიგრანტთა უფლებებისთვის" ფარგლებში, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა" „ღია საზოგადოების ფონდების" მხარდაჭერით 2017 წლის იანვრიდან ახორციელებს და რომლის ამოცანა არა მხოლოდ უვიზო მიმოსვლის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებაა, არამედ, აგრეთვე, საქართველოდან წასული მიგრანტების უფლებების დაცვა, სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მხარდაჭერა და მონიტორინგი მიგრაციის სფეროში.

ლიბერთი ბანკი საქართველოს ბაზარზე მომსახურების ყველაზე ფართო ქსელით არის წარმოდგენილი და 1.5 მილიონზე მეტ მომხმარებელს ემსახურება. ამ კამპანიაში ჩართვით, ლიბერთი ბანკი, როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ფინანსური ორგანიზაცია, რომელიც თავისი ფინანსური საქმიანობიდან გამომდინარე მუდმივადაა ჩართული ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე მგრძნობიარე სეგმენტის (პენსიონერები, სოციალურად დაუცველი პირები ა.შ.) მომსახურების პროცესში, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს უვიზო მიმოსვლის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების საქმეში და, ქვეყნის მოსახლეობის ფინანსური განათლების პროექტის პარალელურად, რომლის დაწყებასაც ლიბერთი ბანკი მიმდინარე წლის ნოემბერში აპირებს, უზრუნველყოფს უვიზო მიმოსვლის შესახებ მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდებას.

საწყის ეტაპზე შეხვედრები გაიმართება ქვემო ქართლის რეგიონის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული ერთ-ერთი ქალაქისა და შიდა ქართლის რეგიონის ერთ-ერთი სოფლის მოსახლეობასთან, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ქვეყნის ამ ნაწილის ოკუპირებულ ტერიტორიას.

შემდეგ ეტაპზე ინფორმაცია გავრცელდება ლიბერთი ბანკის მთელი ქსელის, ანუ ქვეყნის მასშტაბით.

კამპანიის ფარგლებში ლიბერთი ბანკის ტრენერები ჩაატარებენ შეხვედრებს, რომელიც საშუალებას მისცემს მოქალაქეებს იხილონ ვიდეორგოლები უვიზო მიმოსვლის, არადოკუმენტირებული მიგრაციისა და რეინტეგრაციის შესახებ. ასევე, ლიბერთი ბანკის მომსახურების ობიექტებში უზრუნველყოფილი იქნება თემასთან დაკავშირებული საინფორმაციო ბროშურების დარიგება.

– მოხარული ვარ, რომ, როგორც ლიბერთი ბანკის წარმომადგენელს, შემიძლია ჩავერთო ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის შესახებ საინფორმაციო კამპანიაში. რთულია იმაზე მეტი მნიშვნელობა მიანიჭო აღნიშნულ საკითხს, ვიდრე მას ისედაც აქვს. ვგულისხმობ არა მხოლოდ უვიზო მიმოსვლის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას, არამედ ჩვენი თანამოქალაქეების, საქართველოდან წასული მიგრანტების უფლებების დაცვის საკითხსაც, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ ადამიანების უფლებების დაცვის, არამედ ჩვენი ქვეყნის, როგორც ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრის აღიარების ჭრილში. ლიბერთი ბანკი პირველი ფინანსური ორგანიზაციაა, რომელიც ჩაერთო ამგვარ კამპანიაში, თუმცა, იმედია ჩვენი მაგალითი მისაბაძი იქნება, რადგან პროგრესისკენ სწრაფვა გადამდებია. ძალზედ მნიშვნელოვანია, ყველას გვესმოდეს – ევროპა მართლაც ჩვენი სახლია. – აცხადებს რევაზ ბაღათურია, ლიბერთი ბანკის კომერციული ოპტიმიზაციის დეპარტამენტის უფროსი.

# ლევან კალანდაძე: „სესხი და ვალი არ არის საშიში, თუ ის კონკრეტულ ეკონომიკურ მიზანს ემსახურება"

– ის, რომ პროცესები კონცეპტუალურად სწორად არის დაგეგმილი და სწორად მიმდინარეობს, ეს ფაქტია და ამას სავალუტო ფონდის მისიის ბოლო შეფასებაც მოწმობს.

ამის შესახებ ეკონომიკის ექსპერტმა ლევან კალანდაძემ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის მიერ საქართველოს შესახებ ანგარიშის შეფასებისას განაცხადა.

როგორც ექსპერტმა „ინტერპრესნიუსთან" საუბრისას აღნიშნა, მი-



სიის ბოლო შეფასება საკმაოდ ადეკვატური იყო იმ შეფასების მსგავსად, რომელიც აქამდე კეთდებოდა.

– ორი მნიშვნელოვანი საკითხი გამოიკვეთა – ერთი საბიუჯეტო პროცესი და მეორე ლარის კურსთან დაკავშირებული თემები. ორივე პოზიტიურად იქნა შეფასებული. ანუ ცალსახად გაცხადდა, რომ სწორი პოზიცია შემუშავდა მცურავ კურსთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ ბანკს აქვს რესურსი გარკვეული ხელოვნური ჩარევები განახორციელოს კურსთან მიმართებაში, ამას არ აკეთებს. ანუ სსფ-თვის ისევე, როგორც ჩვენი მთავრობისთვის, ეს არის სწორი ნაბიჯი, რომ ეკონომიკა მაქსიმალურად მოქნილი და ელასტიკური იყოს იმ გამოწვევების, რა გამოწვევებიც არსებობს გარეშოკების სახით, – აღნიშნავს ლევან კალანდაძე.

მისი თქმით, საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის მის მიერ საქართველოში ჩადებული ფულის უკან დაბრუნებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ საქართველო იყოს წარმატებული.

– აქედან გამომდინარე ამ ურთიერთობას ორმხრივი სარგებელი აქვს – ჩვენთვის ეს არის ფინანსური მდგრადობა და განვითარება, ფონდისთვის სწორად განხორციელებული ინვესტიციები, – ამბობს ლევან კალანდაძე.

ეკონომიკის ექსპერტის განცხადებით, სსფ-ის მისიის შეფასება ასევე პოზიტიური იყო ვალისა და ბიუჯეტის საკითხთან მიმართებაში. მისი თქმით, ის, რომ 2018 წლის ბიუჯეტში ფინანსური ვალდებულებების ზრდა არის გათვალისწინებული, მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმიდან გამომდინარეობს და პასუხობს იმ გამოწვევებს, რაც მთავრობამ მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარების კუთხით გამოაცხადა.

– ასე რომ, სესხი და ვალი არ არის საშიში, თუ ის კონკრეტულ ეკონომიკურ მიზანს ემსახურება. ჩვენს მიერ 2018 და შემდგომ წლებში გაწერილი ვალდებულებების ზრდა უკავშირდება მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. შეგახსენებთ, პრემიერის მიერ გაცხადებულ ე.წ. სივრცითი განვითარების მოდელს, რომელიც საქართველოში პრაქტიკულად ყველა მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტის მოგვარებას ითვალისწინებს. თბილისიდან სარფამდე ყველა მაგისტრალი, თავისი ალტერნატიული მაგისტრალებით, უახლოესი 4 წლის განმავლობაში უნდა დამთავრდეს. ამას სჭირდება ფინანსური რესურსი. საქართველოს ამის შესაძლებლობა არ აქვს. ბუნებრივია, ჩვენ გვიწევს ინვესტორების მოძიება და დამატებითი რესურსების მოზიდვა. მხოლოდ რიკოთის მაგისტრალის პროექტი, რომელიც 2018 წელს უნდა განხორციელდეს, 500 მილიონზე მეტს საჭიროებს. სახელმწიფო ამ ფულს სახარჯოდ და სოციალური ვალდებულებების გასტუმრებისთვის არ იღებს. ეს ფული იდება ეკონომიკაში, საქმდება უამრავი ადამიანი, კომპანიები, რომლებიც ამ პროექტებს ახორციელებენ, იხდიან გადასახადებს და ბიუჯეტში შეაქვთ ფული. ჩვენ თუ გვინდა, რომ ეკონომიკური ზრდა უახლოესი წლების განმავლობაში მეტ-ნაკლებად ადეკვატური იყოს იმ გამოწვევების, რაც გამოწვევების წინაშეც დგას ქვეყანა, ასეთი პროექტები უნდა განვახორციელოთ. თუ ეს არ გვინდა, გვაქვს სხვა ალტერნატივა – არ ავიღოთ სესხი, არ განვავითაროთ ეკონომიკა და დავტოვოთ იმ დონეზე, რა დონეზეც გვაქვს და არ შევქმნათ განვითარების პერსპექტივა. ეს არის ქვეყნის განვითარებისთვის საჭირო პოლიტიკა. მე მესმის, რომ ზოგადად სესხის აღება არ არის სასიამოვნო, მაგრამ ეს არის სესხი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის სტაბილურობას და მდგრადი ეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბებას. მდგრადობა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენი ეკონომიკისთვის, – აცხადებს ლევან კალანდაძე.

# აკაკი ზოიძე: „საშუალო შემოსავლის მქონე პირებისთვის ჯანმრთელობის დაზღვევა სავალდებულო უნდა იყოს"

– ჩვენ ვმუშაობთ, რამდენად მიზანშეწონილია, სავალდებულო დაზღვევა შემოვიტანოთ იმ კატეგორიისთვის, რომელსაც დღეს საყოველთაო დაზღვევა არ ეკუთვნის.



ამის შესახებ „კომერსანტს" პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძემ განუცხადა.

სტატისტიკის მიხედვით, კერძო დაზღვევით საქართველოში მოსახლეობის 14% სარგებლობს. როგორც 1tv.ge-წერს, იმ მოქალაქეებს შორისაც კი, რომელთა შემოსავალიც თვეში 4.000 ლარს აღემატება მხოლოდ 53%-ს აქვს შეძენილი კერძო დაზღვევა ანუ დიფერენცირების ამოქმედებამდე ამ ადამიანების ჯანმრთელობაზე თანხას სახელმწიფო ხარჯავდა. სახელმწიფო ბიუჯეტს დღემდე უწევს ათობით ათასი იმ მოქალაქის მკურნალობის დაფინანსება, რომელთა თვიური შემოსავალი 1000-დან 3000 ლარამდეა. ასეთი შემოსავალი ქვეყანაში 200 ათასზე მეტ მოქალაქეს უფიქსირდება და მათგან კერძო დაზღვევას მხოლოდ 40% ყიდულობს. ამ ადამიანებს საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა შესაძლოა, საკუთარი სახსრებით მოუწიოთ.

საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქეების სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაზღვევა დამსაქმებელი კომპანიებისთვის შესაძლოა, სავალდებულო გახდეს. როგორც იდეის ერთ-ერთი ავტორი აკაკი ზოიძე ამბობს, საკითხი მხოლოდ იდეის დონეზეა და კონკრეტული ნაბიჯები ჩამოყალიბებული და გაწერილი არ არის.

– ეს არის იდეა, რომ 1.000-დან 3.000 ლარამდე შემოსავლის მქონე მოქალაქეებისთვის დაზღვევა გახდეს სავალდებულო იმისთვის, რომ ყველა მოქალაქეს ხელმისაწვდომობა ჰქონდეს ერთიან სტანდარტულ პაკეტზე. ღარიბებისთვის გადაიხდის სახელმწიფო, შედარებით საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქეებისთვის იქნება ნაწილობრივ დაფინანსებული სახელმწიფოს ან დამსაქმებლის მიერ და შედარებით უფრო მაღალი ფენისთვის მთლიანად საკუთარი ხარჯებით უნდა მოხდეს დაზღვევის ხარჯის ანაზღაურება. სხვა ქვეყნების გამოცდილება მეტყველებს, რომ სავალდებულოობის ელემენტის გარეშე ამ რეფორმის განხორციელება რთულია, – ამბობს ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე.

აკაკი ზოიძის განმარტებით, დადგება თუ არა დაზღვევის სავალდებულოობის საჭიროება დღის წესრიგში, ჯანდაცვის რეფორმით განხორციელებული ბოლო ცვლილებებზე დაკვირვებით გამოვლინდება.

– დავაკვირდებით საყოველთაო ჯანდაცვის რეფორმაში განხორციელებულ პირველ ცვლილებებს და ამის მიხედვით ერთ-ერთ ალტერნატივად ვიხილავთ სავალდებულო დაზღვევას. თუმცა ამასთან დაკავშირებით არც გადაწყვეტილებაა მიღებული გუნდში და არც საარჩევნო პროგრამაში არ გვაქვს დაანონსებული, ანუ ვერ ვიტყოდი, რომ ამას ვაპირებთ, ეს არის სამუშაო ვერსია, ყველა ასპექტს შევაფასებთ, მათ შორის, რეგულირების ზემოქმედების შეფასებასაც გავაკეთებთ და ამის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას გვინდა თუ არა, – განაცხადა ზოიძემ.

მისივე თქმით, ევროპული ქვეყნების გამოცდილების მიუხედავად, აღნიშნული ინიციატივის განხორციელება საქართველოში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით და შესაბამის სექტორებთან კონსულტაციების შემდეგ მოხდება.

– მე პირადად მიმაჩნია, რომ საშუალო შემოსავლის მქონე პირებისთვის ჯანმრთელობის დაზღვევა სავალდებულო უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ უნდა შევაფასოთ ამ კონკრეტული გეგმის განხორციელებას რა გავლენა ექნება, ბიზნესებზე, დამსაქმებლებზე, თვითონ დასაქმებულებზე. უნდა ვიცოდეთ, რა დადებით და უარყოფით შედეგებს მოგვიტანს, რა თქმა უნდა, კონსულტაციები გვექნება კერძო სექტორთანაც და არა მარტო მათთან, – ამბობს დეპუტატი.

# ქუჩაში ნაგვის დაყრისთვის დაჯარიმებულ პირთა 45% უცხოელია



გარემოს დაბინძურებისთვის ფულადი ჯარიმების ამოქმედებიდან თითქმის ექვსი თვის გასვლის შემდგომ თბილსერვისჯგუფის ინსპექციამ 2.730 სამართალდამრღვევი პირი გამოავლინა, აქედან 73 იურიდიული პირი, 2.657 ფიზიკური, ხოლო 1.237 უცხო ქვეყნის მოქალაქეა.

როგორც „კომერსანტს" თბილსერვისჯგუფში განუცხადეს, 20 აპრილიდან დღემდე ქვეითი ინსპექტორების მიერ გამოწერილი ჯარიმების საერთო თანხამ – 271.130 ლარი შეადგინა.

როგორც ცნობილია, დედაქალაქში „თბილსერვისჯგუფის" ინსპექტორები 3 აპრილიდან გამოჩნდნენ. თავდაპირველად 2 კვირის განმავლობაში ინსპექტორები მოქალაქეებს აფრთხილებდნენ, ინფორმაციას აწვდიდნენ სანქციებთან დაკავშირებით და მათ მიერ დაყრილი ნარჩენის ურნაში ჩაყრისკენ მიუთითებდნენ.

შპს „თბილსერვისჯგუფის" ზედამხედველობის სამსახურის ინსპექტორები დედაქალაქის სხვადასხვა ხალხმრავალ ადგილებში წყვილში მოძრაობენ – სპეციალური უნიფორმის გარდა, ისინი აღჭურვილი არიან თანამედროვე ტიპის დამხმარე საშუალებებით – პლანშეტებით, სამხრე კამერებით, რათა თავიდან იქნას აცილებული კონფლიქტური სიტუაციები.

თბილსერვისჯგუფი ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად უფლებამოსილია, შეადგინოს სამართალდარღვევის ოქმი.

ნარჩენების მართვის კოდექსის მიხედვით, ჯარიმა 2 კილოგრამი ნაგვის დაყრაზე 80 ლარია, 2 კილოგრამზე მეტი ნაგვის დაყრის შემთხვევაში კი სანქცია 1.000 ლარს აღწევს.

# „გორგიას“ დირექტორ გია გორგოშაძის გამტაცებლები ოჯახისთვის 5 მილიონი დოლარის გამოძალვას გეგმავდნენ

## მამუკა ჭელიძე: „ისინი ბიზნესმენის ელექტროშოკით წამებასაც აპირებდნენ“

ჰიპერმარკეტ „გორგიას“ დირექტორ გია გორგოშაძის გამტაცებლები ოჯახისგან 5 მილიონი დოლარის გამოძალვას გეგმავდნენ.

როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ არაოფიციალურად ხდება ცნობილი, თავდაპირველად ბოროტმოქმედები გია გორგოშიძესთან ერთად, სავარაუდოდ, მისი ოჯახის ერთ-ერთი წევრის გატაცებასაც აპირებდნენ, თუმცა გეგმა შეცვალეს და მხოლოდ ჰიპერმარკეტ „გორგიას“ დირექტორის გატაცება გადაწყვიტეს, მისი გათავისუფლების სანაცვლოდ კი ოჯახისგან 5 მილიონის გამოძალვას გეგმავდნენ.

მოქალაქის გატაცებისა და ფულის გამოძალვის ბრალდებით პოლიციამ 4 ადამიანი დააკავა. სამართალდამცველებმა სპეცოპერაცია წყნეთის გზატკეცილზე ჩაატარეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ს პრესსამსახურიდან აცნობეს, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოსა და მთავარი პროკურატურის თანამშრომლებმა, დანაშაულებრივი ჯგუფის 4 წევრი: 1962 წელს დაბადებული დ. ფ., 1980 წელს დაბადებული ვ. ვ., 1987 წელს დაბადებული გ. დ. და 1959 წელს დაბადებული რ. მ., თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისა და გამოძალვის



მომზადების ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, დიდი ოდენობით ფულის გამოძალვის მიზნით, მოქალაქე გ. გ.-ს თავისუფლების უკანონო აღკვეთა განიზრახეს.

სამართალდამცავებმა სპეცოპერაცია სამ საცხოვრებელ სახლში ჩაატარეს.

გუშინ „ნიუპოსტს“ „გორგიაში“ განუცხადეს, რომ გია გორგოშაძე სამსახურში იმყოფებოდა, კომპანიის წარმომადგენელმა კი აღნიშნა, რომ გორგოშაძე მედიასთან კომენტარს არ გააკეთებდა, განცხადებას ნოდარ ჯავახიშვილი გააკეთებდა, რომელმაც მერე აღნიშნა, რომ მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

— მე ვესაუბრე ბატონ გიას, ის ჩვეულებრივად სამსახურშია. რაც შეეხება გატაცებას, მისი თქმით, მსგავსი არაფერი ყოფილა. ეს ფაქტი არის ჭორი და არასწორი ინფორმაცია, — განაცხადა ნოდარ ჯავახიშვილმა.

❖ ❖ ❖

გუშინ საღამოს საქმის ახალი დეტალები გახდა ცნობილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროს მამუკა ჭელიძის განცხადებით, გია გორგოშაძის გატაცებისას ბოროტმოქმედები ელექტროშოკების გამოყენებასაც გეგმავდნენ.

მისივე თქმით, ჩანაწერებში ჩანს, რომ დაკავებულები ბიზნესმენისგან 5 მილიონი დოლარის გამოძალვას აპირებდნენ.

— აღნიშნული დანაშაული იგეგმებოდა დიდი ხნის განმავლობაში დაკავებული ოთხი პირის მიერ, — განაცხადა მან.

პოლიციის ინფორმაციით, ამ ოთხმა პირმა, ბიზნესმენის გატაცების მიზნით, ერთი თვის წინ იქირავა კონსპირაციული ბინა იმავე კორპუსში, სადაც გია გორგოშაძე ცხოვრობს.

— ბინის ქირაობის ხელშეკრულებაც კი კონსპირაციის სრული დაცვით, უცხო ქვეყნის მოქალაქეზე დადეს, რათა კვალი დაეფარათ, ნაქირავები სახლიდან ახდენდნენ თვალთვალს, რათა მოეხდინათ ბიზნესმენის გატაცება. აღნიშნული პირები იყვნენ კარგად შეიარაღებულები, ჰქონდათ ცეცხლსასროლი იარაღი, ე.წ. ნილბები, ელექტროშოკები, რითაც აპირებდნენ აღნიშნული ბიზნესმენის თავისუფლების უკანონო აღკვეთას.

ჩანაწერებში საუბარია 5 მილიონის გამოძალვის სქემაზე და იქ იყო რამდენიმე მეთოდოლოგიაზე საუბარი, მათ შორის ფიზიკური დაზიანების მიყენებაც ბიზნესმენის მიმართ და მათ უნდოდათ ელექტროშოკების გამოყენება, თუ იქნებოდა მცირეო-



დენი წინააღმდეგობა ბიზნესმენის მხრიდან, — განაცხადა მამუკა ჭელიძემ.

❖ ❖ ❖

„კურიერს“ უყვებიან, რომ სამართალდამცველების სპეცოპერაციამ პანიკა გამოიწვია, პოლიციას შეეშალა სახლი, სადაც სავარაუდო დამნაშავეები იმყოფებოდნენ და ამიტომ ორი სხვა ბინის კარი შეამტვრიეს.

„კურიერისთვის“ ცნობილი გახდა ოთხივე დაკავებულის ვინაობა, მათ შორის ერთი, ვასილ ვასილიადი, საქართველოს მოქალაქე არ არის, დანარჩენი სამი — თამაზ მენთეშაშვილი, გურამ დგებუაძე და დავით ფოცხიშვილი კი ქვეყნის მოქალაქეები არიან.

პოლიციამ გუშინ კომპანია „გორგიას“ მფლობელის ყოფილი მეუღლის სახლიც გაჩხრიკა. ჩხრეკა მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა. „კურიერის“ ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ნინო დარსალიას ბინიდან მისი მობილური ტელეფონი და კომპიუტერები წაიღეს. დაკითხეს ბიზნესმენის ყოფილი ცოლი.

სამართალდამცველები ნინო დარსალიათი მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც გაირკვა, რომ ოთხკაციანი ჯგუფი გია გორგოშაძის გატაცებასა და მისთვის 5 მილიონი დოლარის გამოძალვას გეგმავდა.

უკვე წლებია, ყოფილ მეუღლეს „გორგიას“ მფლობელთან დავა აქვს. გია გორგოშაძეს ნინო დარსალიამ თბილისის პროკურატურაშიც უჩივლა და ქონების ნაწილს სთხოვს.

# „ახალგაზრდა ადვოკატები“: „მოწმეებმა დაადასტურეს, რომ თემურ ბასილიას წინააღმდეგ სამხილების შეგროვების ბრძანება თათბირზე ზურაბ ადეიშვილმა გასცა“

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ საქართველოს ყოფილი ვიცეპრემიერისა და პრეზიდენტის ყოფილი თანაშემწის თემურ ბასილიას საქმეზე 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენის გადახედვის პროცესი განაახლა. სასამართლომ სხდომაზე მთავარი პროკურატურის 4 მოწმე დაკითხა, რომლებმაც გამოძიების ეტაპზეც დაადასტურეს, რომ თემურ ბასილიას მიმართ, წინა ხელისუფლების წარმომადგენლების დავალების შესაბამისად, განხორციელდა უკანონო დევნა და ბრალდება. სასამართლოს გუშინდელ სხდომაზე ერთ-ერთმა მოწმემ გაიხსენა საქმესთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ეპიზოდი, როდესაც ყოფილმა მთავარმა პროკურორმა, ზურაბ ადეიშვილმა სპეციალური თათბირი მოიწვია და გასცა დავალება, თემურ ბასილიას მიმართ სამართლებრივი დევნის დაწყებისთვის, სამხილები მოემზადებინათ. ამასთან, მოწმეებმა ისაუბრეს თემურ ბასილიას და ს.ს. „ინტელექტბანკის“ კავშირებზე და გამორიცხეს თემურ ბასილიას მხრიდან ბანკის საქმიანობის ფარული მხარდაჭერა და მფარველობა, რომელსაც თემურ ბასილიას მაშინდელი პროკურატურა ედავებოდა. შესაბამისად, მსჯავრდებაც სწორედ ამ პოლიტიკურად მოტივირებულ პოზიციებს დაეყრდნო. ამასთან, მოწმეებმა გაიხსენეს ეპიზოდი, როდესაც მაშინდელი პროკურატურის წარმომადგენლების დავალებით სს „ინტელექტბანკის“ გენერალურ დირექტორ გოგი სალიას სასჯელაღსრულების ადმინისტრაციულ შენობაში შეხვდნენ და მიაწოდეს ინფორმაცია, რომ თუკი თემურ ბასილიას მიმართ მამხილებელ ჩვენებას მისცემდნენ, როგორც იმჟამად პატიმრობაში მყოფი გოგი სალია, ასევე ცენტრალური ფილიალის მმართველი ლევან კვირიკაშვილი, მათი პატიმრობიდან გათავისუფლებაც დაჩქარდებოდა. მოწმეებმა, საქმესთან დაკავშირებით, აგრეთვე, უპასუხეს სასამართლოს, პროკურატურისა და დაცვის მხარის წარმომადგენლების შეკითხვებსაც.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, მთავარი პროკურატურის ახალი გამოძიების პირობებში დადგინდა, რომ 2006 წლის 25 თებერვალს გენერალური პროკურატურის მიერ თაღლითობის და დოკუმენტის გაყალბებისთვის დაკავებული იყვნენ სს „ინტელექტბანკის“ გენერალური დირექტორი გოგი სალია და ცენტრალური ფილიალის მმართველი ლევან კვირიკაშვილი. მაშინდელ პროკურატურას სურდა დანაშაულში გამოევლინა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ყოფილი თანაშემწე თემურ ბასილია, რომელიც დაპირისპირებული იყო იმჟამინდელ ხელისუფლებასთან. ამ მიზნით, პროკურატურის ხელმძღვანელი პირების ორგანიზებით, საპატიმრო დაწესებულებაში, ფარულად, კანონდარ-



ღვევით შეიყვანეს „ინტელექტბანკის“ აქციონერები, რომლებმაც პატიმრებს გოგი სალიასა და ლევან კვირიკაშვილს გადასცეს პროკურატურის კატეგორიული მოთხოვნა, რომ ხელი მოეწერათ იმ ჩვენებაზე, რომელსაც მათ გამოძიება წარუდგენდა, თითქოსდა თემურ ბასილია „ინტელექტბანკისთვის“ დახმარების აღმოჩენის სანაცვლოდ ბანკისგან ქრთამის სახით იღებდა ფულად თანხებს. პროკურატურისთვის ასეთი ჩვენების მიცემის შემთხვევაში კი მათი საქმე დადებითად გადაწყდებოდა და ისინი საპროცესო შეთანხმების საფუძველზე დატოვებდნენ საპატიმრო დაწესებულებას. პროკურატურის მიერ ასეთი მეთოდებით ყალბი ჩვენების მიღების შემდეგ, თემურ ბასილია უკანონოდ იქნა მსჯავრდებული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ 14 სექტემბრის სხდომაზე გაიზიარა თემურ ბასილიას ინტერესების დამცველთა შუამდგომლობა და სისხლის სამართლის საქმეს, ინფორმაციის სახით დაურთო დამატებითი მასალები. კერძოდ, 2009 წელს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საჯარო გამოსვლა ქ. ფოთში და საქართველოს პარლამენტში, 2010 წელს ქართული ტელევიზიების მხრიდან მომზადებული სიუჟეტების კრებული, თემურ ბასილიას უცხოეთში თითქოსდა დაკავებისა და საქართველოში ექსტრადიციის თაობაზე, საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის გაერო-ს ცენტრალური აზიის გენერალური მენეჯერის წერილი თემურ ბასილიას უკანონო დევნის შესახებ და სხვა. თემურ ბასილიას ინტერესების დამცველთა განცხადებით, წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, თუ სხვადასხვა მედიასაშუალებებსა და ტელეგადაცემებში, როგორი უსაფუძვლო და ცილისმწამებლური კამპანია მიმდინარეობდა თემურ ბასილიას წინააღმდეგ, მათ შორისა ყოფილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლების და მისი უშუალო მითითებების საფუძველზე. ცნობისთვის: 2011 წლის 26 მაისს, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ თემურ ბასილიას მიანიჭა პოლიტიკური დევნილის სტატუსი.

თბილისის სააპელაციო სასამართლო თემურ ბასილიას საქმეს მოსამართლეების მაია ხოლოაშვილის (თავმჯდომარე), შორენა ყაველაშვილისა და მზია ლომთათიძის შემადგენლობით განიხილავს. საქმე აღნიშნულ კოლეგიას მას შემდეგ გადაეცა, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლომ თემურ ბასილიას ბრალდების გადახედვის თაობაზე განჩინება მიიღო. მანამდე, 2017 წლის 27 იანვარს, მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა მიიღო დადგენილება „მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ“, რომლითაც თემურ ბასილია, წინა ხელისუფლების პირობებში წარდგენილ ბრალდებაში, უდანაშაულოდ იქნა ცნობილი.

თემურ ბასილიას კანონიერ ინტერესებს ადვოკატები არჩილ კაიკაციშვილი და გია ტაბლიაშვილი წარმოადგენენ, ხოლო საქართველოს პროკურატურის პოზიციას — პროკურორები გიორგი მიქავა და ანრი არსენიშვილი. საქმეზე მომდევნო სხდომა 2017 წლის 9 ნოემბერს, 12:00 საათზე განახლდება, სადაც საქმეზე მთავარი პროკურატურის მთავარი მოწმეები დაიკითხებიან.

# გორის რაიონში ავარიას ახალგაზრდა მამაკაცი ემსხვერპლა

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევერასთან მომხდარ ავარიას ახალგაზრდა მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, გარდაცვლილს მსუბუქი ავტომობილით პური გადაჰქონდა, რა დროსაც ხეს შეეჯახა.

როგორც „ნიუპოსტს“ შსს-ში განუცხადეს, უწყებამ მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით დაიწყო.

# უჯარმაში ავარიის შედეგად 5 ადამიანი დაშავდა

საგარეჯოს რაიონის სოფელ უჯარმაში ერთმანეთს „ოპელისა“ და „ლადას“ მარკის ავტომობილები დაეჯახნენ. ავარიის შედეგად 5 ადამიანი დაშავდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლი 1-ლი ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

# ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე სამი სალონი უკვე მესამედ გაქურდეს

ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე სილამაზის 3 სალონი ბოლო ერთი თვის განმავლობაში უკვე მესამედ გაქურდეს.



ამჯერად თანამშრომლებს სალონის ინვენტარი და თანხა დახვდათ წაღებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით დაიწყო, რაც ქურდობას გულისხმობს.

# ნანა კაკაბაძე პროკურატურისგან გამოძიების დაწყებას ითხოვს

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ნანა კაკაბაძემ განუცხადა, მას დაუკავშირდნენ „რუსთავი 2“-დან და უთხრეს, რომ სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებაში, რომლის გამოქვეყნებასაც გეგმავენ, ოხანაშვილი ამბობს, რომ შეწყალების საკითხზე საპატრიარქოში არსებულ კორუფციაში ნანა კაკაბაძეც იყო ჩართული.

— მან დაასახელა 3 პატიმარი, თუმცა გვარები არ უთქვამს. ჩემთვის უცნობია, რამდენად მართალი იყო ეს, თუმცა, მინდა მოვთხოვო პროკურატურას, დაიწყოს გამოძიება სოსო ოხანაშვილის მიერ გაჟღერებულ ინფორმაციაზე, რასაც „რუსთავი 2“ ამბობს. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა, რომ ოხანაშვილი არის ცრუ დამსმენი,




აღიძრას მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე და ასევე აღიძრას სისხლის სამართლის საქმე იმ პირის წინააღმდეგ, ვინც ტელევიზიაში პასუხისმგებელია ამ ცრუ ინფორმაციის გავრცელებაზე, რომელიც დახურული სასამართლო სხდომის მასალა იყო, — განაცხადა ნანა კაკაბაძემ.

# ჩეხეთის პრემიერი: „ჩვენი პრეზიდენტი ეროვნული სირცხვილია“



ჩეხეთის პრემიერმა ბოგუსლავ სობოტკამ პასე-ს ასამბლეაზე პრეზიდენტ ზემანის გამოსვლას სამარცხვინო უწოდა. როგორც ცნობილია, ზემანმა განაცხადა, რომ უკრაინა ყირიმის დაკარგვას უნდა შეეჩვიოს და დასჯერდეს იმას, რომ რუსები მას კომპენსაციას გადაუხდიან.

– ზემანის სიტყვებს ჩეხეთის საგარეო პოლიტიკასთან არაფერი საერთო არა აქვს. ჩვენ ვთვლით, რომ ყირიმი უკრაინის განუყოფელი ნაწილია და მანამ, სანამ ნახევარკუნძული უკრაინას არ დაუბრუნდება, რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები არ უნდა გაუქმდეს, – თქვა სობოტკამ.

პრემიერმა თქვა, რომ ზემანი ამგვარ განცხადებებს არც პირველად აკეთებს და არც უკანასკნელად. ის არა ჩეხეთის პრეზიდენტი, არამედ ჩეხეთის ნაციონალური სირცხვილია.

– მსურს უკრაინელებს ზემანის უღირსი საქციელისათვის ბოდიში მოვუხადო, – ამბობს სობოტკა.

ზემანის გამოსვლა ბევრმა გავლენიანმა პოლიტიკოსმა დაგმო, მათ შორის რექს ტილერსონმა, ტერეზა მეიმ. ანგელა მერკელმა კი განაცხადა:

– ჩეხეთის პრეზიდენტის პრორუსული რიტორიკა ჩეხეთის, როგორც სახელმწიფოს, დისკრედიტაციაში გადაიზარდა!

# ბელორუსში რუსი ისტორიკოსი დააკავეს

გროდნოს სადგურზე რუსი ისტორიკოსი პეტრე რიაბოვი დააკავეს. მილიციამ მას ბრალად დასდო საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. რიაბოვს აღმოუჩინეს ანარქისტული ბროშურა „თავისუფლება ან სიკვდილი“. ბელორუსი ძალოვნების აზრით, ეს ექსტრემისტული ლიტერატურაა.

თავად რიაბოვმა ბრალდება უარყო. მან განაცხადა, რომ ჰქონდა ჩვეულებრივი ბროშურა, სადაც არ იყო მოწოდებები ძალადობისკენ. რიაბოვი ბელორუსში ლექციის წასაკითხად ჩავიდა.

– მე არ მოვითხოვ არც ბელორუსული ენის დაცვას, არც იმას, რომ ეს ქვეყანა რუსეთს ჩამოშორდეს. პირიქით, მიმაჩნია, რომ რუსეთი და ბელორუსი ერთად უნდა იყვნენ, – თქვა რიაბოვმა.




მეცნიერის აზრით, ბელორუსი იდეალურია იმისთვის, რომ აქ სრულფასოვანი დემოკრატია აშენდეს. რესპუბლიკაში ნაციონალიზმის ხარისხი მცირეა. შესაბამისად, შესაძლებელია დემოკრატიის აშენება ისე, რომ ბელორუსი რუსეთს არ მოსწყდეს.

– ამას ხელს მხოლოდ ერთი ადამიანი, პრეზიდენტი ლუკაშენკო უშლის. მეც მისი წინააღმდეგი ვარ და არა ბელორუს-რუსეთის ერთიანობის, – აცხადებს რიაბოვი.

# მაკეინი ტრამპის ადმინისტრაციით უკმაყოფილოა



სენატორმა მაკეინმა პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაციის მუშაობის გამო კვლავ უკმაყოფილება გამოთქვა. კერძოდ, მაკეინმა განაცხადა, რომ ტრამპი და მისი გუნდი რუსეთის მიმართ დამატებითი სანქციების ამოქმედებას აჭიანურებენ.

– დადგა დრო, რათა ეს სანქციები ავამოქმედოთ! – თქვა მაკეინმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# კორეელებს სიმღერისთვის დადგმული ძეგლი არ უყვართ

სამხრეთკორეელები აგრძელებენ სიმღერა Gangnam Style-ს ქანდაკების გაკრიტიკებას, რომელიც სეულის პრესტიჟულ რაიონ კანამშია აღმართული.



ქანდაკების პროექტი, რომელიც გამოიყურება, როგორც ორი დიდი გადაჯვარედინებული ხელი, თავიდანვე უკმაყოფილებისა და კრიტიკის საგნად იქცა. მის წინააღმდეგ თავად სიმღერის ავტორი, კორეელი მომღერალი PSY-ც კი გამოვიდა. ამის მიუხედავად, 2016 წლის აპრილში ქანდაკება სავაჭრო-საგამოფენო ცენტრის მახლობლად დადგეს.

მართალია, მას შემდეგ წელიწად-ნახევარია გასული, მაგრამ კორეელები მის მიმართ საკუთარ უკმაყოფილებას არ მალავენ. ბევრი მას სიმახინჯედ და უსაფუძვლოდ ძვირადღირებულად მიიჩნევს.

სამაგიეროდ, ეს ღირსშესანიშნაობა წარმატებით სარგებლობს ტურისტებს შორის. ისინი მის ფონზე სურათების გადაღებას აუცილებელ საქმედ თვლიან.

# პენსიონერმა შეიარაღებულ მძარცველებს ქოლგით სცემა



ლონდონში პენსიონერი ქოლგით თავს დაესხა მძარცველებს, რომლებიც საიუველირო მაღაზიაში შეღწევას ცდილობდნენ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ექვსი დამნაშავე, რომლებსაც თავზე მოტოციკლეტისტების მუზარადები ეხურათ, ნაჯახებისა და უროს გამოყენებით საიუველირო მაღაზიის კარის შემტვრევას ცდილობდა. როდესაც გვერდით მიმდინარე მშენებლობიდან მათთვის ხელის შესაშლელად მუშები გამოიქცნენ, მძარცველები გაიქცნენ. ამ დროს შენობიდან პენსიონერი გამოვარდა და მძარცველებს ქოლგით დაერია. მართალია, ამას დამნაშავეები არ შეუშინებია, მაგრამ ამ დროს მუშებმა და გვერდით მდებარე სხვა დაწესებულებების თანამშრომლებმაც მოირბინეს და მძარცველები იძულებულნი გახდნენ, თავისთვის გაქცევით ეშველათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ავსტრიაში ადამიანი-ზვიგენი დააჯარიმეს

ავსტრიაში ზვიგენის კოსტიუმში გამოწყობილი ადამიანი იმ კანონის დარღვევისთვის დააჯარიმეს, რომელიც ისეთი ტანსაცმლის ტარებას კრძალავს, მის სახეს რომ ფარავს.

კანონის დამრღვევი კომპიუტერული მაღაზიების ქსელს უკეთებდა რეკლამას. პოლიციელებმა მას რამდენჯერმე მოსთხოვეს ნიღბის მოხსნა, მაგრამ მან დამორჩილებაზე უარი განაცხადა. ამის შემდეგ ის პასუხისგებაში მიეცა.

სახის დამფარავი ტანსაცმლის აკრძალვა ახალი კანონის ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენდა, რომელიც მიგრანტების ინტეგრაციას ეხება. ახალი კანონის თანახმად, 1 ოქტომბრიდან ავსტრიაში აკრძალულია პარანჯის, ბურკისა და ნიკაბის, ასევე სამეჯლისო და სამედიცინო ნიღბების ტარება. კანონის დამრღვევი 150 ევროთი დაჯარიმდება.



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**შევისყიდით წიგნებს!**

ბუკინისტური მაღაზია „არსი“ შეიძენს 1950 წლამდე გამოცემულ წიგნებს, სპეციალისტების ადგილზე მისვლითაც. მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი №16. წიგნების ფოტოები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ელ.ფოსტით: booking.shop@mail.ru ან დაგვირეკეთ ტელ: 557-64-67-60.

**გთავაზობთ სამსახურს**

წიგნის მაღაზია „არსს“ ესაჭიროება გამყიდველი ქუჩაში, მაღაზიის წინ. მისამართი: რუსთაველის გამზირი №16. ტელ: 557-64-67-60.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული რჩევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზიური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა – კალცი აუცილებელია გონებრივი განვითარებისათვის, ძვლიან-კუნთოვანი ჩონჩხისთვის, იმუნიტეტისათვის. 95%-ით აითვისება ორგანიზმის მიერ. ტელ: 599-61-75-82.

● გინდა იყო მუდამ ჯანმრთელი? მთელი ორგანიზმის დიაგნოსტიკა – პრობლემების გამოვლინება ადრეულ სტადიაზე. აქცია თვის ბოლომდე, კუპონის წარმომადგენელს ფასდაკლება 30%. ტელ: 595-472-471.

● ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ოზონატორი არის მთელი ოჯახის ჯანმრთელობის საწყისი: ხილისა და ბოსტნეულის დეზინფექცია; წყლისა და საბავშვო ჭურჭლის, სათამაშოების გაწმენდა. ტელ: 599-61-75-82.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ეროვნული ლიგა გადამწყვეტ ფაზაში შედის



## 13 ოქტომბერი

### ჩიხურა-სამტრედია

**თბილისი. მიხეილ მესხი**

ჩიხურას მინიმალური შანსი აქვს მედლისთვის ბრძოლაში, ასევე შეუძლებელი ჩანს ევროსაგზურის მოპოვება ეროვნული ლიგიდან, რადგან სასურველ ადგილთან სხვაობა უკვე 8 ქულაა. ეს არ არის აღმოუფხვრავი დეფიციტი, მაგრამ 8 ტურში ურთულესი იქნება, მით უფრო, დღევანდელ შეხვედრაში, სადაც მეტოქედ სამტრედია ჰყავს – გუნდი, რომელიც არათუ მედლებისთვის, არამედ საჩემპიონო ამბიციით იყო სეზონის წინ.

ეს ამბიცია ისევ აქვს, მაგრამ ჩამორჩენა დიდია, ამასთან, არა მარტო თბილისის დინამოსთან, არამედ ქუთაისის ტორპედოსთანაც მოუწევს ბრძოლა.

მოკლედ, საინტერესო მატჩი, მრავალპროგნოზიანი...

### დინამო (ბთ)-დილა

**ბათუმი. რაგბი არენა**

სუპერმატჩი ბათუმში. არა ლიდერების, არამედ გუნდების, რომლებიც პლეი აუტის თავიდან ასაცილებლად იბრძვიან.

ზღვისპირელებს რამდენი ტურის წინ ჰქონდათ მეტოქესთან უპირატესობა, მაგრამ დილამ ბოლო 3 მატჩი მოიგო და ახლა თავად შექმნა კომფორტული ჰანდიკაპი. გორელები 5 ქულით უსწრებენ მეტოქეს და წაგების შემთხვევაში 2 ქულა კიდევ დარჩებათ, მაგრამ ეს უკვე სახიფათო ხდება. მოგების შემთხვევაში გორელები პრაქტიკულად ინაღდებენ ელიგაში დარჩენას.

ეს უკვე ზღვისპირელებს არ აწყობთ, ამიტომ დღეს შეეცდებიან, საქმე გამოიკეთონ, ამასთან, პლეი აუტის აცილებისთვის ბრძოლა დაძაბონ.

## 14 ოქტომბერი

### ტორპედო-შუქურა

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

ორი განსხვავებული მიზნისთვის მებრძოლი გუნდების მატჩი საინტერესო უნდა გამოდგეს.

ტორპედო პირველობისკენ ისწრაფვის და საამისოდ ქულების დაკარგვა არ აწყობთ, მით უფრო, გუნდთან, რომელიც ბოლო ადგილზეა. მაგრამ შუქურა სწორედ ამ ბოლო ადგილის თავიდან ასარიდებლად იბრძვის, რათა ელიგიდან არ გავარდეს და ადგილი პლეი აუტიდან მაინც შეინარჩუნოს.

ზღვისპირელები ქუთაისიდან მინიმუმ ქულის წაღებას შეეცდებიან, მაგრამ ეს ურთულესი იქნება.

## 15 ოქტომბერი

### საბურთალო-კოლხეთი

**თბილისი. პეტრო არენა**

პერტო არენაზე თითქოს საინტერესო მატჩია: საბურთალო ევროსაგზურის ზონაში შესაღწევად იბრძვის, კოლხეთს ქულები იმიტომ სჭირდება, რომ შუქურა არ დაეწიოს, თორემ პლეი აუტს ისედაც ვერ ასცდება, რადგან დილას უკვე 14 ქულით ჩამორჩებიან.

ერთი შეხედვით, ჩანს საინტერესო, დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება.

### დინამო (თბ)-ლოკომოტივი

**თბილისი. დინამო არენა**

კიდევ ერთი სუპერმატჩი – თბილისური დერბი. დინამოს ჩემპიონობა სურს, ლოკომოტივს მედლებისთვის ბრძოლა არ შეუწყვეტია. ამასთან, ევროსაგზურისთვის ბრძოლაში საბურთალოს სუნთქვა ესმის.

დინამომ თავად გაირთულა სიტუაცია – დედაქალაქელებს მდევრებთან 9 ქულიანი ჰანდიკაპი ჰქონდა, უშუალო კონკურენტ ტორპედოს გვარიანად უსწრებდა, მაგრამ ბოლოს თამაშები ჩააგდო და ახლა სხვაობა 4 ქულამდე დავიდა, რაც უკვე პირველობას საფრთხეს უქმნის.

ლოკომოტივი კი, პირიქით, იშტაზეა მოსული და კარგ ფეხბურთსაც აჩვენებს. ვნახოთ, სადამდე ეყოფა დენტი გიორგი დევდარიანის ახალგაზრდულ გუნდს.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 28 | 18 | 5 | 5 | 66-24 | 59 |
| 2.ტორპედო | 28 | 16 | 7 | 5 | 42-21 | 55 |
| 3.სამტრედია | 28 | 15 | 7 | 6 | 44-30 | 52 |
| 4.ლოკომოტივი | 28 | 15 | 3 | 10 | 53-35 | 48 |
| 5.საბურთალო | 28 | 13 | 4 | 11 | 44-33 | 43 |
| 6.ჩიხურა | 28 | 12 | 4 | 12 | 34-44 | 40 |
| 7.დილა | 28 | 9 | 7 | 12 | 34-40 | 34 |
| 8.დინამო (ბთ) | 28 | 9 | 2 | 17 | 24-45 | 29 |
| 9.კოლხეთი | 28 | 4 | 8 | 16 | 24-51 | 20 |
| 10.შუქურა | 28 | 2 | 7 | 19 | 27-69 | 13 |

# საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები ფიბამ დააფასა

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა ფიბას რეიტინგში 19-საფეხურიანი ნახტომი გააკეთა და 28-ე ადგილზე გადაინაცვლა. აქამდე რეიტინგში ჩვენი ნაკრები მსოფლიოში 47-ე ადგილზე იყო, თუმცა ევრობასკეტზე ლიტვისა და ისრაელის დამარცხებამ, ასევე მოსამზადებელ მატჩებში ევროპის გრანდების – საბერძნეთის, სერბეთის, ლიტვის, ლატვიის ძლევამ ილიას ზუროსის გაწვრთნილ გუნდს სოლიდური სარეიტინგო ქულები მოუტანა და საქართველომ რეიტინგის მოწინავე გუნდებს შორის უკრაინასთან ერთად ყველაზე დიდი ნახტომი გააკეთა.

აღსანიშნავია, რომ მთლიანობაში ყველაზე დიდი ნახტომი ჰოლანდიამ (+38), ჩერნოგორიამ (+37), ისლანდიამ (+37), ესტონეთმა (+35) და პორტუგალიამ (+26) გააკეთეს, თუმცა ეს ნაკრებები იმდენად დაბლა იყვნენ, რომ ამხელა პროგრესის შემდეგაც არ არიან საქართველოზე წინ. ხსენებული ნაკრებებიდან ყველაზე ახლოს ჩვენს ნაკრებთან ჩერნოგორიაა, რომელმაც 72-ე ადგილიდან 35-ეზე გადაინაცვლა.

რეიტინგს, რა თქმა უნდა, აშშ-ის ნაკრები ლიდერობს, შემდეგ მოდიან ესპანეთი, სერბეთი, საფრანგეთი და არგენტინა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 25. | Canada | 8. | CAN | 218.6 | -1 |
| 26. | Nigeria | 1. | NGR | 211.3 | -10 |
| 27. | New Zealand | 4. | NZL | 208.8 | +7 |
| 28. | Georgia | 15. | GEO | 208.7 | +19 |
| 29. | Czech Republic | 16. | CZE | 207.9 | +19 |
| 30. | Philippines | 5. | PHI | 207.6 | -3 |

# ალესანდრო დელ პიერო: „ვიყავი იმ გუნდის კაპიტანი, რომელიც ჩემი ნაწილი იყო“



ამ ფეხბურთელს წარდგენა არ სჭირდება. დელ პიეროს ყველაფერი აქვს მოგებული, რისი მოგებაც შეიძლებოდა. გარდა გამარჯვებულის მენტალიტეტისა, მისი კიდევ ერთი გამორჩეული თვისებაა ერთგულება. დელ პიერომ გუნდი მაშინაც კი არ მიატოვა, როდესაც სერია ბ-ში დააქვეითეს.

***– ვინ გახდება სერია ა-ს ჩემპიონი?***

– იუვენტუსს ყოველთვის პირველ ნომერ ფავორიტად მივიჩნევ, მაგრამ წელს სხვაობა შემცირდა და ნაპოლი ნამდვილად იმსახურებს სკუდეტოს. მაურიციო სარი საინტერესო პიროვნებაა, მაგრამ, პირველ რიგში, მას ბრწყინვალე საფეხბურთო გონება გააჩნია. გარკვეულ მიზანს რომ მიაღწიო, წლობით უნდა მოემზადო, რაც მათ გააკეთეს. ახლა სარის ფეხბურთელები უკეთ არიან გარკვეულნი თავიანთ მიზნებში. ამასთან კლუბის სტრუქტურა გაიზარდა თამაშის ხარისხთან ერთად. დე ლაურენტისმა შესანიშნავი სამუშაო გაწია, არ დაგვავიწყდეს, რომ „ნაპოლი“ სერია ბ-ში თამაშობდა ჩვენთან ერთად.

***– შეუძლიათ თუ არა მათ, ბოლომდე იბრძოლონ?***

– ყოველთვის ძნელია, იბრძოლო 3 ფრონტზე ერთი და იმავე შემადგენლობით. მილიკის ტრავმამ შეზღუდა როტაციის შესაძლებლობები. სარიმ იდეალური მანქანა შექმნა, მაგრამ დროთა განმავლობაში მას მთელი გუნდის ნდობა და იმპროვიზაცია მოუწევს. სიამოვნებით ვიმუშავებდი სარის ხელმძღვანელობით, როგორც ფეხბურთელი. ახლა გაცილებით ღრმად ვიცი ფეხბურთი, ვიდრე მაშინ, როცა 20 წლის ვიყავი.

***– რამდენად დააკლდება ტურინულ კლუბს ბონუჩი?***

– მახსოვს, ბონუჩი რომ გადმოვიდა იუვეში. მან დიდ პროგრესს მიაღწია – იუვენტუსში თამაშმა უკეთესი გახადა. ბონუჩიმ კი – იუვენტუსი უკეთესი. კლუბი ბოლო პერიოდში მუდმივად იცვლებოდა, მაგრამ ტურინული ციხესიმაგრე – ბარძალი-ბონუჩი-კიელინის სახით, ხელშეუხებელი იყო, ამიტომ ბონუჩის წასვლა სერიოზული დანაკლისია. დაცვაში მოთამაშის შეცვლა იგივე არაა, რაც თავდასხმაში, ურთიერთგაგებისთვის მეტი დროა საჭირო. ნაპოლი ვალდებულია, გამოიყენოს ეს უპირატესობა.

***– რუგანის შეუძლია თუ არა, შეცვალოს ბონუჩი?***

– ძნელია ისაუბრო ამაზე ყოველდღიურად დაკვირვების გარეშე. ფეხბურთელი არა მხოლოდ თამაშით, არამედ ვარჯიშებზეც უნდა შეაფასო. ახალგაზრდა ფეხბურთელებმა, რომელთაც გააჩნიათ ისეთი ოსტატობა, როგორიც რუგანის, გარკვეული გზა უნდა გაიარონ იუვენტუსში. ისინი ერთ საათში ვერ გახდებიან ძირითადის წევრები. მორატა და დიბალა სათადარიგოთა სკამზე იმყოფებოდნენ, როცა გუნდში მოვიდნენ.

***– დიბალა ახსენეთ. რას იტყვით მის შესახებ?***

– მოხარული ვარ დიბალას გამო. 10 ნომერი ჩემი საკუთრება არ ყოფილა, ის ჩემამდე ბაჯოს, პლატინისა და სივორის ეცვათ. ახლა კი ამ ნომრით სუპერვარსკვლავი თამაშობს, რომელსაც ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ კარიერის ბოლომდე აქ დარჩეს, თუ ამის სურვილი აქვს. ამ სეზონში მან თავისი თამაში კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიყვანა, ის წარმოუდგენელ რამეებს აკეთებს. მარტო გოლებზე არ ვამბობ, მას უკვე თამაშის ბედის გადაწყვეტა შეუძლია. მას ასევე იშვიათი მორალური თვისებები გააჩნია. იმედი მაქვს, პაულო იპოვის ტურინში იმას, რასაც მე, რადგან არავის სხვას ისე არ შეუძლია გულშემატკივართა გულების დაპყრობა, როგორც მას.

***– ჰგავს მისი გზა იუვენტუსში თქვენსას?***

– ჩემი გზა იუვეში შესანიშნავი იყო, მე მიყვარდა და მიყვარს ეს მაისური, ის ჩემი ნაწილია. ჩემი დებიუტი, პირველი სკუდეტო, ჩემპიონთა ლიგა... არ შემიძლია გამოვყო რომელიმე მომენტი. პირველი სეზონის შემდეგ პარმაში ვაპირებდი გადასვლას, მოლაპარაკებებზე რა ხდებოდა, ისიც არ ვიცოდი ზუსტად, მხოლოდ ის ვიცი, რომ ერთ მომენტში ლიპიმ თქვა – კარგი იქნებოდა ამ ბიჭის დამატება მეოთხე ფორვარდად.

***– 2006 წელს იუვეს პრობლემები შეექმნა და გუნდი არ მიატოვეთ.***

– 2006 წელი სრული სიგიჟე იყო. ჩვენ მსოფლიო ჩემპიონები დავბრუნდით და ჩვენი თავი სერია ბ-ში აღმოვაჩინეთ, ვერაფერი ვერ გავიგეთ. საკმარისია, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის შემადგენლობას გადახედო, აღმოაჩენ რომ მთელი იუვენტუსი იქ იყო. ყველაფერმა ჩვენს მიღმა ჩაიარა. კლუბმა მკითხა თუ რას ვაპირებდი. ერთი წამითაც არ მიყოყმანია, მე ვიყავი იმ გუნდის კაპიტანი, რომელიც ჩემი ნაწილი იყო და რომელთან ერთად მოვიგე ყველაფერი. მე ვგრძნობდი, რომ საჭირო იყო მაგალითი, რომ დაგვეჩქარებინა დაბრუნება. წრე 2012 წელს ჩაიკეტა, იმ ტრაგედიიდან მეექვსე წელს იუვემ სკუდეტო დაიბრუნა. მე შევძელი ჩემი გზა დამეხურა ბოლო, მოულოდნელი ტიტულით.

***– რატომ გადაწყვიტეთ წასვლა იუვენტუსიდან?***

– ცხოვრება მომენტებისგან შედგება. დღეს იუვენტუსს გააჩნია ნათელი სტრუქტურა და ნამდვილად ღირსეული დირექტორებისგან შედგება. მე შესაძლებლობა მქონდა, შევხვედროდი ანდრეა ანიელის. ჩვენ გავარკვიეთ სიტუაცია და დღეს სრულიად მშვიდად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ შორის არანაირი პრობლემა არ არსებობს.

# ქართველები ევროთასებზე

მანუჩარ მარკოიშვილის რეჯიო ემილია ევროთასის გათამაშებაში ჩაება. ჩვენებურის გუნდი ჯგუფში თურქულ გალათასარაისთან, ლიტვურ ნევეჟისთან, იერუსალიმის ჰაპოელთან, მიუნხენის ბაიერნთან და ჩერნოგორიულ ბუდუჩნოსტთან ერთად მოხვდა.

სწორედ ჩერნოგორიის გუნდი იყო რეჯიოემილიელთა პირველი მეტოქე, რომელმაც მარკოიშვილის გუნდს პოდგორიცეში უმასპინძლა. ბუდუჩნოსტმა შეხვედრა მეტი მობილიზებით ჩაატარა და საბოლოოდ 82:74 გაიმარჯვა.

მარკოიშვილმა 2-დან 1 სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო, 2 ორქულიანი ააცილა. თამაშის ბედი კი, დასკვნით მეოთხედში გადაწყდა, რომელიც პოდგორიცელებმა 25:13 მოიგეს.



მეორე ტურში რეჯიო ემილია გალათასარაის უმასპინძლებს.

მარკოიშვილისგან განსხვავებით, ფიბა-ს ჩემპიონთა ლიგაში წარმატებული დებიუტი ჰქონდა მაიკლ დიქსონის სტრასბურს. ფრანგულმა კლუბმა ლიუბლიანის ოლიმპიას უმასპინძლა და საქართველოს ნაკრების წევრის დახმარებით იმარჯვა.

შეხვედრა მასპინძლების გამარჯვებით – 83:69 დასრულდა, დიქსონი კი ყველაზე შედეგიანი გახლდათ. მაიკლმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე გატარებულ არასრულ 24 წუთში 21 ქულა, 5 მოხსნა, 4 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა. მაიკლმა 8-დან 5 ორქულიანი, 5-დან 3 სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო.

სტრასბური ჩემპიონთა ლიგის მომდევნო მატჩს გერმანიაში, ბაიროითის წინააღმდეგ ჩაატარებს, რომელმაც პოლონეთში როსა რადომს 96:79 სძლია. ზემოთხსენებულ გუნდებთან ერთად სტრასბურის ჯგუფში არიან: ესპანური ესტუდიანტესი, იტალიური ვენეცია, თურქული ბანვითი და ბერძნული აეკი.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## შედეგები

**11 ოქტომბერი**

**ფეხბურთი**

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ნუმანსია-ბარსელონა ბ ............... 1:0
ხიმნასტიკი-გრანადა .................. 2:0
ოვიედო-ტენერიფე ..................... 1:1
ლორკა-სარაგოსა ....................... 0:2
სარაგოსას მე-2 გოლი გიორგი პაპუნაშვილმა გაიტანა
სევილია ბ-კადისი ...................... 0:0

# საკუთარი სილამაზით თავგზააბნეულმა ინგლისელმა ინტერნეტმომხმარებლები გაალიზიანა




სოციალურ ქსელებში ინტერნეტმომხმარებლების ყურადღება მიიპყრო ბრიტანულმა შოუ This Morning-მა, რომლის სტუმარმა, 44 წლის ლონდონელმა ქალბატონმა დოუნ კოზინსმა წამყვანებთან მამაკაცების მხრიდან მისდამი გადამეტებული ყურადღების გამო დაიჩივლა. გადაცემის ვიდეორგოლი იუთუბიზე იქნა გამოქვეყნებული.

ვიდეორგოლმა ერთ დღე-ღამეში 145 ათასზე მეტი ნახვა მოაგროვა. მასში კოზინსმა დაიჩივლა, რომ მისი მეტისმეტი სილამაზე ცხოვრების თანამგზავრის გამონახვაში ხელს უშლის. მთელი გადაცემის განმავლობაში წამყვანები ძლივს იკავებდნენ სიცილს, სანამ ქალი ყველა ასაკის საკუთარ თაყვანისმცემლებზე საუბრობდა. მისი მტკიცებით, მას მოსვენებას არ აძლევენ არა მხოლოდ უკვე შემდგარი მამაკაცები, არამედ მისი შვილების სკოლის მეგობრებიც.

– მე ძალიან მომხიბვლელი ვარ, ჩემს ასაკზე გაცილებით პატარად გამოვიყურები. ყველას ვუნდივარ, იმიტომ რომ ცეცხლოვანი ვარ, – განაცხადა კოზინსმა, რითიც მაყურებლების უკმაყოფილება გამოიწვია.

– ღმერთო ჩემო! ეს ქალი შეშლილია! მეტისმეტად კარგია სიყვარულისთვის? ის მეტად მახინჯი სულისაა, ურჩევნია, ცირკის სარკეში ჩაიხედოს, – აღნიშნა ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

უამრავი ნეგატიური გამოხმაურების გამო იუთუბ-არხის ადმინისტრატორი იძულებული გახდა, კომენტარები დაეხურა.

# კოსმეტიკური ფირმის რეკლამა რასისტულად შერაცხეს



შხაპის გელის Dove-ს სარეკლამო რგოლმა სოციალურ ქსელებში აღშფოთება გამოიწვია, მის შემქმნელებს კი რასიზმი დასდეს ბრალად.

სამწუთიან ვიდეოში, რომელიც ფეისბუქში ფირმის გვერდზე გამოქვეყნდა, შავკანიანი ქალი ყავისფერი მაისურის გახდის შემდეგ თეთრკანიანად გადაიქცევა. სოციალური ქსელების მომხმარებლებმა სწორედ ასეთი რეკლამა შერაცხეს რასისტულად.

კომპანიამ ბოდიში მოიხადა და ვიდეორგოლი საკუთარი გვერდიდან წაშალა, თუმცა ამან ვერ უშველა კომპანია Unilever-ს, რომელშიც Dove-ა გაერთიანებული, სკანდალის თავიდან აცილებაში. სოციალური ქსელების მომხმარებლები უკვე მოუწოდებენ ფირმის პროდუქციის ბოიკოტისკენ, ხოლო ბრიტანულ დილის შოუებში მიმდინარეობს მსჯელობა იმის თაობაზე, თუ როგორ დაუშვა ხელმძღვანელობამ ასეთი შინაარსის ვიდეოს გადაღება და გამოქვეყნება.

# ინდოეთში მაშხალების გაყიდვა აკრძალეს

ინდოეთის უზენაესმა სასამართლომ მოახლოებული დღესასწაულის დივალის წინ მაშხალების გაყიდვა აკრძალა.



დღესასწაული, რომელსაც ასევე ცეცხლის ფესტივალი ეწოდება, 19 ოქტომბერს გაიმართება. მაშხალების გაყიდვის აკრძალვა ძალაში 1 ნოემბრამდე დარჩება, ხოლო ვისაც უკვე შეძენილი აქვს მაშხალები, მათი გამოყენების უფლება მიეცემათ.

მაშხალების გაყიდვა მას შემდეგ აიკრძალა, რაც სასამართლოში რამდენიმე პეტიცია შევიდა, მათ შორის ბავშვებისგან. მიმართვის ავტორებს იმედი აქვთ, რომ აკრძალვა ჰაერის დაბინძურებას ხელს შეუშლის, რომელსაც აფეთქებები იწვევს. გასულ წელს დღესასწაულის შემდეგ დელიში ჰაერში მავნე ნივთიერებების შემცველობა სახიფათო ნიშნულზე იყო ასული, რის გამოც სამი დღით ქალაქის ყველა სკოლა დაიხურა.

# ცხენირმისა და მგლის ორთაბრძოლა ვიდეოზე გადაიღეს



კანადელი დენ ნაისტედტი ჩრდილოეთ ონტარიოში, ტბაზე მომხდარი მგლისა და ცხენირმის ორთაბრძოლის თვითმხილველი გახდა. ვიდეორგოლი იუთუბის ერთ-ერთ არხზე იქნა გამოქვეყნებული.

ვიდეოჩანაწერზე, რომელმაც 95 ათასზე მეტი ნახვა მოაგროვა, მგელი ნაპირის მახლობლად წყალში მდგარ ცხენირემს თავს დაესხა და კბილებით ფეხში ჩააფრინდა. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, რომლის დროსაც ბალახისმჭამელი ცხოველი თავდამსხმელის წყალში დახრჩობას ცდილობდა, მან, როგორც იქნა, ფეხის მგლის კბილებისგან გათავისუფლება მოახერხა და მისგან საბოლოოდ თავის დასაღწევად ტბის სიღრმეში შეცურა. მტაცებელი საკმაო მანძილზე მისდევდა მსხვერპლს, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა, მიტრიალებულიყო და ნაპირისკენ გაეცურა.

# გერმანელმა მეხანძრეებმა ღობეში გაჭედილი ზღარბი გადაარჩინეს



გერმანიის ქალაქ ბონის მეხანძრეებმა სპორტული მოედნის ღობეში გაჭედილი ზღარბი გაათავისუფლეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი გერმანული გამოცემა ავრცელებს.

რთულ მდგომარეობაში მყოფი ცხოველი იპენდორფის რაიონის მცხოვრებმა აღმოაჩინა. მას შემდეგ, რაც მან თავად ვერ მოახერხა ზღარბის გათავისუფლება, მეხანძრეების ბრიგადა გამოიძახა.

შემთხვევის ადგილზე მისული მეხანძრეები იძულებული გახდნენ, ლითონის საჭრელი მოწყობილობა გამოეყენებინათ, რათა ზღარბი გაეთავისუფლებინათ. ცხოველის გასინჯვის შედეგად მას სხეულზე დაზიანებები არ აღმოაჩნდა, თუმცა ის საკმაოდ არაქათგამოცლილი იყო. ადგილობრივმა მცხოვრებმა ის თავის ბაღში წაიყვანა, სადაც მას თავშესაფარი მისცა.

# ამერიკელმა წყვილმა შვლის ნუკრი გადაარჩინა



ამერიკელმა წყვილმა, რომელიც არიზონას შტატში ტყეში სეირნობდა, შველის ნუკრი გადაარჩინა, რომელიც ტალახში იყო ჩაფლული. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

შვლის ნუკრის ფეხები მთლიანად ტალახში იყო ჩაფლული. მამაკაცი ცხოველს ტალახიდან თავის დაღწევაში დაეხმარა, ხოლო ქალი ამ ყოველივეს ვიდეოზე იღებდა. ღონემიხდილი ცხოველი ტალახიდან ამოყვანის შემდეგ არ გაქცეულა. ის დასასვენებლად და ძალის მოსაკრებად მიწაზე გაწვა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# საჰარაში უდაბნოს კატის კნუტები ვიდეოზე პირველად გადაიღეს



მკვლევრებმა პირველად მოახერხეს, ვიდეო და ფოტოსურათები გადაეღოთ გარეული უდაბნოს კატის კნუტებისთვის, რომლებიც აფრიკაში ბინადრობენ.

ბიოლოგებმა, რომლებიც არაკომერციულ ორგანიზაცია პანტერაში მუშაობენ, რომლის დანიშნულებას გარეული კატების დაცვა წარმოადგენს, კნუტები საჰარის უდაბნოში, მაროკოს ტერიტორიაზე აღმოაჩინეს. ისინი ვარაუდობენ, რომ კნუტები დაახლოებით ექვსი-რვა კვირის წინ არიან დაბადებულნი.

უდაბნოს კატები აფრიკაში, არაბეთის ნახევარკუნძულზე, ახლო აღმოსავლეთსა და შუა აზიაში ბინადრობენ და ისინი ტანით შინაურ კატებზე პატარები არიან.

# ასტროპროგნოზი

## 13 ოქტომბერი



**ვერძი** – პროფესიული საქმიანობისას ძველ, ნაცად ხერხს მიმართეთ. ველოსიპედის გამოგონება დღეს არ გინდათ. მეტი დრო სასიყვარულო ურთიერთობას დაუთმეთ. **კურო** – იოლად არავის მიენდოთ, თორემ იმედი გაგიცრუვდებათ. კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. თავი აარიდეთ შემთხვევით ნაცნობობას. **ტყუპები** – ეს დღე შემოქმედებითი პოტენციალის ამაღლებით გამოირჩევა. მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი. საქმე შემოქმედებითად და, ამავე დროს, მოთმინებით აკეთეთ. **კირჩხიბი** – თქვენი მდიდარი შინაგანი სამყარო დღეს არატრადიციულ გარემოს მოითხოვს. აუცილებლად გამონახეთ დრო თეატრში ან გამოფენაზე წასასვლელად. **ლომი** – ფინანსებს გაუფრთხილდით. დღეს რისკი გამართლებული არ არის. ერიდეთ კონფლიქტს გარშემომყოფებთან. **ქალწული** – კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. საღამოს მეტი დრო ოჯახის წევრებს დაუთმეთ. **სასწორი** – იაქტიურეთ. კარგი დღეა კომერციული საქმიანობისა და ბიზნესკონტაქტებისათვის. **ღრიანკალი** – ახალ საქმეს ნუ წამოიწყებთ. უმჯობესია, თუ ძველ საქმეებს დაამთავრებთ. ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებს. **მშვილდოსანი** – ენერგიის მოზღვავებას გრძნობთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ერიდეთ ხელმძღვანელ პირებთან ახლო ურთიერთობას. **თხის რქა** – საკმაოდ მძიმე დღეა. ნუ გადაიღლებით. ექსპერიმენტების დრო არ არის. **მერწყული** – კარგი დღეა ახალი იდეების განსახორციელებლად. აუცილებლად გაითვალისწინეთ მეგობრის რჩევა. პირად ცხოვრებაში ჯერჯერობით ცვლილებები არ შეინიშნება. **თევზები** – მივლინებებისა და მოგზაურობისათვის შესანიშნავი დღეა. ემოციებს ნუ აჰყვებით. სიმშვიდე შეინარჩუნეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. მსხლის ერთ-ერთი ჯიში; 2. ოქროს ან ვერცხლის ძაფი; 3. ჩქარტემპიანი ამერიკული ცეკვა; 4. შავი ფერის მელას ძველი ქართული სახელწოდება; 6. ქორ-შევარდენთა გამწვრთნელი; 9. ფაიფურის წარმოების ცენტრი საფრანგეთში; 11. ქარიშხალი წყნარ ოკეანეში; 15. წყალქვეშა ნავის მეორე სახელწოდება; 16. სოფელი ხევსურეთში; 17. უბანი სოხუმში; 19. სპეციალური დანიშნულების მატარებელი; 21. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ამერიკელი ლეგიონერი; 22. ქართული სადაზღვევო კომპანია.

**თარაზულად**: 5. ძუნწი, ძალზე ხელმომჭირნე ადამიანი; 7. ჰოლანდიური ლუდი; 8. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 10. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 12. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 13. პურეული მცენარე; 14. საეკლესიო წესით ქორწინება; 18. ათქვეფილი კვერცხის ცილისგან მომზადებული კულინარიული ნაწარმი; 20. ფრანგული სუნამო; 23. მდინარე პრაღაში; 24. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნიანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 25. ცნობილი ბერძენი საოპერო მომღერალი ქალი; 26. მემკვიდრეობითობის მატარებელი ჰორმონი ცოცხალ ორგანიზმში; 27. ბრიტანეთის ნაწილი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ხერგიანი; 2. იუნგა; 3. ყაპუზუნა; 4. დიდუბე; 7. ბროლი; 9. კიურე; 12. კრიტერიუმი; 14. პურადი; 15. თავთუხი; 17. პაშტეტი; 20. გუელი.

**თარაზულად:** 5. ცელსიუსი; 6. ორაგული; 8. ვაგნერი; 10. კალასური; 11. ბრეცია; 13. პლანერი; 16. შეწირული; 18. კამეა; 19. ივერი; 21. ტუნდრა; 22. „ახმეტელი“; 23. გაუტამა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. აუდიტი; 2. „ციცკა“; 3. პლაზმა; 4. არენდა; 6. კათედრა; 9. კუსტო; 11. ვივალდი; 15. ნიკოლსონი; 16. სულორი; 17. კარამელი; 19. იდიოტია; 21. ბრონქსი; 22. კაჭიჭი.

**თარაზულად:** 5. სუროგატი; 7. არქტიკა; 8. ძეწკვი; 10. დუმბაძე; 12. დერბი; 13. იბისა; 14. ბეტანკური; 18. ხვატი; 20. ბურახი; 23. პაულსი; 24. ორლი; 25. ჭორომი; 26. ჭონა; 27. ოსტერია.

# ლიკა ქავჟარაძეს 14 ოქტომბერს დაკრძალავენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ჩვენი გულები მას ეკრანზე გამოჩენიდან დაპყრობილი ჰქონდა იმთავითვე! კარგის მთქმელს კარგი გამგონიც ესაჭიროება და ასეთებად მიმაჩნიხართ, ჩემო დებო და ძმებო, დაფიქრდით და ეს თხოვნა შემისრულეთ, უბრალოდ გამოთქვით თქვენი მოსაზრება....

ჩემი კი მე უკვე გამოვთქვი! კარგ მთქმელს კარგი გამგონიც სჭირდება.... იქნებ იმათაც გავაგებინოთ, ვისაც უნდა ესმოდეს პირველ რიგში! „ვარსკვლავი" კი სიცოცხლეში უფრო ახარებს ადამიანს, მაგრამ მართლაც ვარსკვლავების ადგილი ჩვენ ყველამ ვიცით სად არის! კიდევ ერთხელ მოვიბოდიშებ და გავიმეორებ კითხვას სად უნდა მოისვენოს რამოდენიმე თაობისთვის სიყვარულის, სინაზის და ერის მხრიდან საყოველთაოდ უდიდესი სიყვარულის სიმბოლოდ აღიარებულმა „მარიტამ" ანუ ყველასთვის ჩვენმა საყვარელმა ადამიანმა ლიკა ქავჟარაძემ? არ გაბედოს აქ ვინმემ რაღაცების უაზროდ წერა... მეც და მასაც ალბათ ცუდად დაუმთავრდება და მოდით თავებს ნუ გავიუბედურებთ, ასე აჯობებს. უბრალოდ თქვით სად მიგაჩნიათ რომ უნდა იყოს სამარადისოდ ამ სიყვარულის, ანუ თითქმის მთელი ერის სიყვარულის ერთი ადამიანის მიმართ მოსასვენებელი ადგილი?! დავიჯერო, მარტო მე ვფიქრობ ამაზე??? არა მგონია ასე მარტო ვიყო და ასე ცოტანი ვიყოთ, ვისაც ესმის რაზეც ვსაუბრობ, რა კითხვასაც ვაყენებ ჩემი ძმების და დების წინაშე!... თუ ვცდები და მე ამ საქართველოში სადაც სიყვარულს ვერც სიცოცხლეში უპოვიან სათანადო ადგილს და ვერც სიცოცხლის მერე, რა უნდა ვაკეთო? მაშინ ჩვენ რა მომავალი გველის? მე გეტყვით ამის პასუხს, მაგას აღარ დაგეკითხებით! ასეთი საქართველო მე არ მინდა.... ვინაიდან ეს საქართველო არ იქნება, რაც არ უნდა ერქვას მას! ჩემს საქართველოში სიყვარულსა და მეგობრობას დიდმა შოთა რუსთაველმა უმღერა, ლიკამ სიყვარულიც მაგარი იცოდა და მეგობრობაშიც ბადალი არ ჰყავდა! გემშვიდობებით და ველი თქვენს მოსაზრებებს ჩემს კითხვასთან დაკავშირებით, იმ იმედით რომ შესმენილი იქნება ჩემი თხოვნა! გთხოვთ სერიოზულად გაიაზრეთ, სანამ დაწერთ რაიმეს! ნუ დაივიწყებთ, რომ პაუზა და დუმილიც არის შესაძლებელი, სანამდე ვინმე რაიმეს დააბრეხვებს... დაამუხრუჭოს თავი და დაფიქრდეს, იქნებ დუმილი ამჯობინოს? თუ მაინცდამაინც ვერ მოითმენს 2 წუთით მაინც დაფიქრდეს და მერე დაწეროს ასეთმა რაიმე, რათა შემდგომში ველარ თქვას ასეთმა „ადამიანმა", დაუფიქრებლად მომივიდაო! კიდევ ერთხელ მომიტევეთ ასეთი თხოვნის გამო!





ლიკა ქავჟარაძის ბიძაშვილმა გურამ ფალავანდიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მსახიობი ძალიან კარგად იყო:

– ლიკა ქავჟარაძე ბოლო პერიოდში ძალიან კარგად იყო, რადგან ელოდებოდა თავისი სახელობის ვარსკვლავის გახსნას. კიბეებზე ასვლის დროს უჭირდა სუნთქვა, ვფიქრობ, შესაძლოა, ყოფილიყო ანევრიზმა ან თრომბი, ექსპერტიზა დაადგენს ზუსტ მიზეზს. პირველად მე და ჩემმა შვილმა ვნახეთ, პოლიციელებმა გვითხრეს, რომ დაახლოებით 5 საათის გარდაცვლილიაო. თავის ოთახში იწვა და ეფარა საბანი, თვითმკვლელობის არანაირი კვალი არ ჩანდა.

მამა პეტრე კვარაცხელიამ ლიკა ქავჟარაძეს ლექსი მიუძღვნა და ინიციატივით გამოვიდა, რომ მარიტას სახელობის ბაღი გაკეთდეს და იქ მარტო ბროწეულები დაირგოს:

– მარიტას სახელობის ბაღი გავაკეთოთ და მარტო ბროწეულები დავრგოთ!.. მთელი ცხოვრება დამნაშავე ვიქნებით ,,მარიტას" წინაშე... ვერანაირი ცრემლით ვერ ჩამოვრეცხავთ იმ ტალახს და წუმპეს, რასაც დაუღალავად ვესროდით... მთელი ცხოვრება დაგვამძიმებს სხვის ნაცვლად გადაწყვეტილებების მიღება და უმკაცრესი განაჩენი... ვერაფრით გამოვისყიდით, სხვების გაუბედურებას და განადგურებას... მთელი ცხოვრება მოგვიწევს მიუტევებელი შეცდომების ტარება, სხვის სულში ტალახიანი ხელების ფათურის დამსახურებით... რა გვემატება იმით, რომ სხვას სიცოცხლეს ვუმწარებთ?! მარიტა პიროვნება არა, იდეაა... ყველა მარიტაა, ვისაც საკუთარი გზის გავლას არ ვაცლით... მარიტა ყველაში ცოცხლობს და მივცეთ უფლება გაიღიმოს, მზით გათბეს, უყვარდეს ის, ვინც უნდა უყვარდეს... ღმერთს არ სჭირდება გაბოროტებული სამართალი...

მსახიობი ლევან უჩანეიშვილი ულამაზეს ლიკა ქავჟარაძეს სპეციალური წერილით დაემშვიდობა:

– ჩემო ლიკა, მაპატიე... ყველას აპატიე... საქართველოს აპატიე... ვერ მოგიარეთ, მარტო დაგტოვეთ, მიგატოვეთ! გვაპატიე, რომ დაგივიწყეთ, ხელში არ აგიყვანეთ, შენს საოცნებო სამყაროში არ წაგიყვანეთ! შენი შეხების ღირსი არ ვყოფილვარ, არავინ არ ყოფილა. შენი სილამაზის ღირსი საქართველოც კი არ ყოფილა! შენი ცხოვრებაც ტრაგიკული ფილმივით ყოფილა!... გვაპატიე! რომ შენს ნატვრის ხეზე გამობმული ოცნება სამწუხაროდ არ ასრულდა... გვაპატიე! რომ შენი ცხოვრებაც შეწყვეტილი ფილმივით დასრულდა... გვაპატიე! ჩემი ბრალიც არის! ყველას ბრალი არის! საქართველოს ბრალი არის! გვაპატიე, რომ მე, ყველას, საქართველოს უთხარი უარი... დაგვიტოვე დარდი, სევდა, ცრემლი, სიცივე და ქარი... ყველასათვის ჩარაზული კარი.... ჩემო ლიკა, მაპატიე... ყველას აპატიე... საქართველოს აპატიე... შეხვედრამდე.

20 ოქტომბერს ლიკა ქავჟარაძის ნახატების გამოფენა უნდა გამართულიყო. 26 ოქტომბერს კი მას 58 წელი შეუსრულდებოდა.

„ქართული ფილმის" წარმომადგენლების განცხადებით ლიკა ქავჟარაძეს რეჟისორ ერეკლე ბადურაშვილის ახალ ქართულ-თურქულ ფილმ „ხიდში" მხატვრის როლი უნდა ეთამაშა.

## რუსკა მაყაშვილმა შვილის ფოტოს გაავრცელა



მსახიობმა რუსკა მაყაშვილმა თავისი ბიჭის ილიას ფოტო სოციალურ ქსელში გაავრცელა. რუსკამ სამშობიარო სახლი უკვე დატოვა და პატარასთან ერთად სახლში დაბრუნდა:

– რა ვთქვა, არ ვიცი, არცერთი სიტყვა და არცერთი ემოცია არ შეესაბამება იმ მდგომარეობას, რაც მე და სანდროს დაგვეთხლიშა თავზე... რომ იცოდეთ, ილია რა ტკბილია.

რუსკა მაყაშვილი დედა 9 ოქტომბერს გახდა. მას და მის მეუღლეს, მორაგბე სანდრო ნიჟარაძეს ბიჭი შეეძინათ. რუსკა და სანდრო 2015 წლის ბოლოს დაქორწინდნენ.

## ნინო ბაშარული მსოფლიო ტურნეს იწყებს



მომღერალი ნინო ბაშარული მსოფლიო ტურნეს იწყებს. იგი კონცერტებს მსოფლიოში ცნობილი მომღერლის მადონას ბოშებთან ერთად ახალ პროექტს წარადგენს.

კონცერტები ირლანდიაში, ინგლისში, საფრანგეთში, თურქეთში, რუსეთში, აზერბაიჯანსა და იაპონიაში გაიმართება.

ნინო ბაშარული:

– პოპვარსკვლავ მადონასთან პროექტში ვირტუოზი ბოშები იღებდნენ მონაწილეობას... მათ ერთად წარმატებით მოიარეს მსოფლიო ტურნე... მე სიტყვით ვერ ავხსნი, როგორ მიხარია, რომ ამ პროექტს ამჯერად მე გავაგრძელებ ბოშებთან ერთად... მიხარია, რომ ოკეანის გადაღმა ამერიკიდან მე მომაწვდინეს ხმა, მათ ჩემზე გააკეთეს არჩევანი და ჩვენ მსოფლიო ტურნეს ერთად ვიწყებთ სულ რამდენიმე თვეში!

ირლანდია, ინგლისი, საფრანგეთი, თურქეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, ჩინეთი, იაპონია.... ჯერჯერობით ეს ქვეყნებია ჩვენი სამიზნე... მჯერა რომ ჩვენ გავაღვიძებთ უძველეს ბოშურ ჰანგებს და არ მივცემთ მას კვდომის საშუალებას... ის თუ მოკვდა, ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა უძველესი კულტურებიც დავიწყებას მიეცემიან.

მე არ მინდა ვიხილო ჩემი ქვეყნის ფოლკლორი ამ მდგომარეობაში ოდესმე, არც მე და არც ჩვენმა შვილებმა... ბრძოლას ერთად ვიწყებთ ბოშური მუსიკალური სამყაროს გადარჩენით! ახლა მას სჭირდება დახმარება ყველაზე მეტად! დედამიწის მსოფლიო კულტურები ერთმანეთზე გადაჯაჭვულია, თუ დავეხმარებით ერთს, ეს დახმარება სხვებზეც აისახება! სამყაროს კანონია!

მაშ ასე! წამმზომი ჩაირთო! ერთად ვიზრუნოთ მრავალსაუკუნოვანი მუსიკის გადარჩენისთვის!

## „შინაურები" დაიხურა

იუმორისტული გადაცემა „შინაურები" დაიხურა. გადაცემა, რომელიც ტელეკომპანია ჯიდიესზე გადიოდა და მას „ბინა 18" ერქვა, არხის რეორგანიზაციის შემდეგ ტელეკომპანია „იმედზე" გადავიდა და მას „შინაურები" ეწოდა. მისი წამყვანები უცვლელად ფაქო, თემო მჟავია და ნინი გოგიჩაიშვილი იყვნენ.

გადაცემის ხელმძღვანელებმა, მაყურებელთა ინტერესის გამო, რამდენიმე დღის წინ გაავრცელეს განცხადება, რომ გადაცემა დროებით შეჩერებული იყო და არა დახურული:

– უამრავი ადამიანი გვწერს გადაცემასთან დაკავშირებით და გვინდა, რომ ყველას გიპასუხოთ. გადაცემის ჩაწერები არის შეჩერებული, თუმცა იმედიდან არ მიგვილია არანაირი ოფიციალური წერილი ან დოკუმენტი გადაცემის დახურვასთან დაკავშირებით.?ყოველდღე ველოდებით პასუხს. მადლობა ყურადღებისთვის.

ახლა კი „შინაურების" ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა დადასტურებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გადაცემა დაიხურა:

– ტარააამ. დიახ, გადაცემა დაიხურა!

გადაცემის ხელმძღვანელებმა მის ერთ-ერთ პერსონაჟთან „რობერტო მავანისთან" დაკავშირებითაც გააკეთეს განცხადება:

– გადაცემა „შინაურების" შემოქმედებითი ჯგუფი საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ, რომ გადაცემის პერსონაჟმა „რობერტო მავანმა" შეიცვალა სამსახური და მის პოლიტიკურ სიუჟეტებზე პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება მის ახალ სამსახურს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## გიორგი მარშანიას რეჟისორებთან მუშაობა მოენატრა



მსახიობ გიორგი მარშანიას რეჟისორებთან მუშაობა მოენატრა. იგი ნიჭიერ რეჟისორებს მიმართავს და მათ ფილმებსა და სპექტაკლებში თამაშის სურვილს გამოთქვამს:

– ისა, რა ჰქვია.... მაიტა რამე ფილმში გადამიღეთ, ან სპექტაკლში მათამაშეთ რა.. ძაან მინდა მსახიობობა. ვიზამ ყველაფერს, რაც შემიძლია! არ შეგარცხვენთ. ოღონდ, ნიჭიერებმა მომწერეთ მარტო.

## პროგრამა

**პარასკევი 13 ოქტომბერი**

**06.00** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **06.30** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა მორგან ფრიმანთან ერთად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მხიარული ფერმა" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00, 01.30** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30, 02.30** დღის მხ/ფ "**ფან-ფან ტიტა**" (ჯ.ლოლობრიჯიდა) **14.30** "საუკუნის პორტრეტები" **15.00, 04.15** დოკ/ფ "ჯვარცმის საიდუმლო" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30, 05.15** დოკ/ფ "გონების თამაშები" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** "არჩევნები" **22.30** ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" **23.30** მხ/ფ "**ორმოცდაათი ერთზე**" (ჯ.უილსონი)

**06.30, 16.00** სერ. "**ტყუილი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.20** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. "**ელიფი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**ქალაქის გული**" 2 სერ. **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ძმა**" **22.30** მხ/ფ "**მცველი**" **00.20** მხ/ფ "**შინაური მტრები**" **01.45** მხ/ფ "**ქლოი**" **03.35** მხ/ფ "**მზარეული ადამ ჯონსი**" **05.15** მხ/ფ "**მკვლელების სამეფო**"

**06.00, 18.50** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**უსასრულო მოლოდინი**" **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **10 00.00** სერ. "**სამშობლო**" **3 01.30, 02.30** მხ/ფ **03.15** კურიერის დაიჯესტი **04.30** მხ/ფ

tv პირველი **7.55** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**ცხოვრების გზა**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS**13.40** უცხოეთის ამბები **14.00, 16.00** დღის ამბები: დ. ტრაპაიძე, ი. გრიგოლია, ვ. სანაია. **15.00, 22.30** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00** მხ/ფ **20.00** პირველები **23.00** ავტორბოლა **23.30** ღალატი

GDS **08.00** ან/ფ "ავატარი" **09.00** სერ. "**ცისფერი სისხლი**-3" **11.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები 3**" **13.00** სერ. "**ძვლები 9**" **15.00** სერ. "**ძვლები 10**" **1-2** სერ. **17.00** სერ. "**სამხედროების ცოლები**" **4-5** სერ. **19.00** სერ. "**ცისფერი სისხლი**-3" **21.00** სერ. "**სპირალი 4**" **2** სერ. **22.30** სერ. "**ბორჯია 3**" **00.30** მხ/ფ "**მდიდარი რიჩი**" **02.20** მხ/ფ "**არტური**" **04.20** მხ/ფ "**სიყვარული შეტყობინებით**" **06.15** მხ/ფ "**ამბობენ**"

იბერია **08.00** ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.00** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.20, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40, 01.00,** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.10** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.45** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **21.00** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** მხ/ფ "**ბრმა პაემანი**" **3.45** ცენზურის გარეშე

**06.15** კვირიაკე **07.10** დ/ფ "ველური ბუნება-ჰიპოპოტამების ტრაგედია" **07.35** ივერიის ეკლესია "აფხაზეთის საკითხი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში" **08.00** დილის ლოცვა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** მსოფლიო საგანძური "ესპანეთი-მეხიკო, აცტეკების ქალაქი, ესპანეთის ქალაქი" **10.25** თბილისის ტაძრები "ჯვრის მამა" **10.35** ბავშვები მუზეუმში **11.10** ერთსულოვანი ოჯახი "ჩიქოვანები" **12.10** მხ/ფ "**თოჯინები იცინიან**" **13.30** ან/ფ "ქალთევზა" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ბარტ ვულფი-მოსავლის დღესასწაული ბორდოში" **15.50** ოპერა "**ბერი**" I ნაწ. **17.20** საქართველოს დაცული ტერიტორიები "ბორჯომ-ხარაგაულის ტყე პარკი" **18.10** არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია..."გარდაბანი" **18.40** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** კონცერტი "პიანისტ ევგენი კისინის კონცერტი" **20.40** ძილი ნებისა "ჯადოსნური კვერცხი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.05** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "ადიში" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გზა, რომლითაც ვიარე "ნიკო ცხვედაძე" **23.35** ღვთის სახლი "ქართველთა ეთნოგენეზისის შესახებ" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.35** მგზავრები წუთისოფლისა **01.00** დ/ფ "სათავეებთან-ნიკო ნიკოლაძე" **01.30** მხ/ფ "**ბოცვერების მასერი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**13 ოქტომბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.483

ევრო — 2.9339

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2761

100 რუსული რუბლი — 4.2971

## ამინდის პროგნოზი 13 ოქტომბრისთვის





## 3 ოქტომბრიდან




იორამ ჩადუნელი
**საზღაური**

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## ბარსელონა კოუტინიოს ყიდვას იანვარში აპირებს



ბარსელონა ლივერპულის ბრაზილიელი ნახევარმცველის ფილიპე კოუტინიოს ყიდვას იანვარში შეეცდება. ამის შესახებ ბარსელონის აღმასრულებელმა დირექტორმა ოსკარ გრაუმ განაცხადა, რომლის თქმით, კოუტინიო იანვარში ბარსელონის მთავარი სამიზნე იქნება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კოუტინიო ბარსელონის ჩემპიონთა ლიგის პლეიოფში ვერ დაეხმარება, რადგან მან უკვე ითამაშა ამ ტურნირზე ლივერპულის შემადგენლობაში. კოუტინიოს ბარსელონაში გადასვლა სურს და ამას ბრაზილიელი ფეხბურთელი არც მალავს, ამიტომ მისი კატალონიურ გუნდში ტრანსფერი საკმაოდ რეალურია.

## დანი კარვახალის მდგომარეობა გაუმჯობესდა

მადრიდის რეალის ფეხბურთელი დანიელ კარვახალი ისევ საავადმყოფოში იმყოფება, თუმცა მისი მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

ექიმების თქმით, კარვახალი თითქმის განიკურნა იმ ვირუსისგან, რომელიც მისი გულის მუშაობაზე გავლენას ახდენდა და უახლოეს მომავალში ის ბოლომდე გამოჯანმრთელდება. მიუხედავად ამისა, კარვახალს რაღაც დროით მაინც მოუწევს ფეხბურთისგან დასვენება, რადგან ის ჯერ კიდევ საავადმყოფოშია და როდის დაბრუნდება მოედანზე, ჯერჯერობით უცნობია.

რეალი შემდეგ შეხვედრას სტუმრად ხეტაფეს წინააღმდეგ ჩაატარებს.

## რობერტ ლევანდოვსკიმ ჰაინკესი შეაქო



ბაიერნის პოლონელმა ფორვარდმა რობერტ ლევანდოვსკიმ ბაიერნის ახალი მთავარი მწვრთნელი იუპ ჰაინკესი შეაქო და თქვა, რომ მისი ვარჯიშები უფრო ინტენსიურია, ვიდრე ეს ადრე ხდებოდა.

ლევანდოვსკის თქმით, ჰაინკესის მოსვლის შემდეგ უკვე იგრძნობა პროგრესი.

ჰაინკესი უკვე იყო ბაიერნის სათავეში 2013 წლამდე, მაგრამ მისი მწვრთნელობის დროს ლევანდოვსკი ბაიერნში არ თამაშობდა. ჰაინკესის დაბრუნების შემდეგ პირველ შეხვედრას ბაიერნი ფრაიბურგის წინააღმდეგ ჩაატარებს.

## პოლ პოგბამ ვარჯიში განაახლა



მანჩესტერ იუნაიტედის ფრანგმა ფეხბურთელმა პოლ პოგბამ ვარჯიში განაახლა და მალე ის მოედანზეც დაბრუნდება.

პოგბამ ტრავმა სექტემბრის შუა რიცხვებში მიიღო და მას შემდეგ ის ლაზარეთში იმყოფებოდა, თუმცა მან უფრო მალე მოახერხა გამოჯანმრთელება, ვიდრე ამას ექიმები ვარაუდობდნენ.

პოგბას თქმით, მას ძალიან უნდა მოედანზე დაბრუნება, თუმცა ზედმეტმა სიჩქარემ შესაძლოა მისი ტრავმის გართულება გამოიწვიოს.

პოგბა მანჩესტერში გასულ წელს გადავიდა და მის ტრანსფერში მანჩესტერ იუნაიტედმა 105 მილიონი ევრო გადაიხადა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი



ერთ-ერთი კომპანიის დირექტორი ქუჩაში ჩაფიქრებული მიდის, წინ მაწანწალა შეხვდება და ეუბნება:

– დამეხმარე თუ შეგიძლია.

– რად გინდა ფული.

– არაფს ვიყიდი, დავლევ და სადმე ღობის ძირას მივწვები.

დირექტორმა ტელეფონი ამოიღო, დარეკა და ეუბნება:

– ალო, კადრების განყოფილებაა? მთავარი ბუღალტერი სამსახურიდან გაათავისუფლეთ, პატიოსან ადამიანს მივაგენი.

•••

ქუჩაში ერთი ნაცნობი მეორეს შეხვდება, რომელიც შეუხედავ მეუღლესთან და ორ ბავშვთან ერთად მიდის ქუჩაში. ერთი მეორეს ეუბნება:

– რა საყვარელი ტყუპები გყავს.

– რა ტყუპები, გააფრინე? საიდან მოიტანე, ვერ ხედავ, ერთი ხუთი წლისაა, მეორე კი სამის.

– რა ვიცი, უბრალოდ, არ მეგონა, თუ ამ ქალთან მეორედაც დაწვებოდი.

•••

ტურისტი ნილოსის ნაპირზე ზის და თევზაობს. ცხელა. გავიდა ერთი საათი, ორი, სამი, ვერაფერი დაიჭირა. ამ დროს მდინარიდან ნიანგმა ამოყო თავი და ეკითხება:

– რა, ცხელა?

– ჰო, ცხელა.

– ალბათ სულის შემხუთველი სიცხეა, ჰო?

– ჰო.

– ხომ არ იბანავებდი?

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, ორი ვაშლი რომ გქონდეს, ერთი დიდი და მეორე პატარა, მე რომელს მომცემდი?

– პატარას.

– მასე როგორ შეიძლება, ეგ ხომ უკულტურობაა.

– შენ როგორ მოიქცეოდი?

– შენ დიდს მოგცემდი, ჩემთვის კი პატარას დავიტოვებდი.

– უტვინო, დიდი ვაშლი ისევ მე არ შემხვდებოდა.

•••

ერთი ნარკომანი მეორეს ეკითხება:

– რამდენი კილო ხარ?

– 35 და შენ?

– 37.

– ვაა, პონჩიკ...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 5 ოქტომბრიდან




რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

## 10 ოქტომბრიდან

ქართული ჰაგიოგრაფია

წიგნში თავმოყრილია სამი ჰაგიოგრაფიული ძეგლის – „შუშანიკის წამების“, „აბოს წამებისა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ – პარალელური ტექსტები, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ძველ ქართულ ორიგინალს, ხოლო მეორე – ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ უზუსტეს ვერსიას.




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## ლიკა ქავჟარაძეს 14 ოქტომბერს დაკრძალავენ



58 წლის ასაკში ქართული კინოს ულამაზესი მსახიობი ლიკა ქავჟარაძე გარდაიცვალა. მსახიობი საკუთარ საცხოვრებელ სახლში გარდაცვლილი იპოვეს.

მსახიობის გარდაცვალებამ შეძრა სრულიად საქართველო. ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ საქართველომ ულამაზესი ქალბატონი დაკარგა.

ლიკა ქავჟარაძის საცხოვრებელი სახლის სადარბაზო გვიან ღამით უცნობმა პირმა მთლიანად ვარდების ფურცლებითა და ყვავილებით მორთო.

საქართველოს კინოაკადემიის ინფორმაციით, ლიკა ქავჟარაძის პანაშვიდი 12 და 13 ოქტომბერს, 17 საათზე, მის საცხოვრებელ სახლში, ირაკლი აბაშიძის 62 ნომერში გაიმართება, 14 ოქტომბერს კი მსახიობს ვაკის სამების ეკლესიიდან გამოასვენებენ. სად დაკრძალავენ მსახიობს, ჯერჯერობით უცნობია.

ლიკა ქავჟარაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მისმა ყოფილმა მეუღლემ ლევან შანიძემ სოციალურ ქსელში სპეციალური განცხადება გაავრცელა:

– ნუ გამიწყრებით, დებო და ძმებო.... ისედაც გულნატკენები ვართ ძალიან ბევრნი დღეს, მხოლოდ ერთ ჩემს მოსაზრებას გამოვთქვამ და ეს დღეები ალბათ არაფერსაც არ დავწერ და არ გამოვაქვეყნებ, უბრალოდ კითხვა დამებადა... და ყველას აზრი მაინტერესებს: როცა ყველა მისტირის..... როდესაც რამოდენიმე თაობის, თითქმის მთელი ერის საყვარელი, ულამაზესი ადამიანი, თავად სილამაზის და სიყვარულის სიმბოლო, თანაც ყველამ ვიცით, რომ ამ ადამიანის სახელი მანდილოსნის სილამაზის ეტალონად იქცა და შეიძლება ითქვას სინონიმადაც, მართლა დამებადა კითხვა ყველა საქართველოს მოქალაქისადმი: სად უნდა იყოს მოსვენებული და უკვდავყოფილი მისი სახელი? ყველას ვთხოვ ნუ განმსჯით, მომიტევეთ, უბრალოდ გაიაზრეთ რაზეც ვსაუბრობ.... როგორც ამბობენ გრიბოედოვის მეუღლეც ნინო ჭავჭავაძე ძალიან მშვენიერი და ლამაზი იყოო... უეჭველად ასე იქნებოდა!, მაგრამ „მარიტა“ ანუ ყველასთვის ჩვენი ლიკა მართლაც რომ მთელი საქართველოს სიყვარულს იმსახურებდა და ფლობდა ამ სიყვარულს, სად უნდა იყოს მისი ადგილი? აქ ამ მიწაზე? თორემ


გაგრძელება მე-11 გვერდზე


## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 2. ბამბის უხეში ქსოვილი; 3. გრიგოლ აბაშიძის რომანი; 4. დაბალი, სასიმღერო ხმით მღერა; 7. ლუდის დასაყენებელი ხის კასრი ფშავ-ხევსურეთში; 9. ვერცხლით დაფარული დანა-ჩანგალი; 12. საკუთარი სახელების შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 14. რთული, დახლართული საქმე სასამართლო პრაქტიკაში; 15. გემოვნების უნარის დარღვევა; 17. პოლიციის ქვედანაყოფი საქართველოში; 20. ცალკე მცხოვრები ოჯახი სოფლად.

**თარაზულად**: 5. ისტორიული ციხე-სიმაგრე ზესტაფონის მახლობლად; 6. გურიასა და აჭარაში გავრცელებული წითელყურძნიანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 8. მრავალფეროვანი ყვავილი; 10. გუნდური შეჯიბრება ცურვასა და მძლეოსნობაში; 11. დედამიწის თანამგზავრი; 13. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 16. კამერული მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 18. შოკოლადის ხე; 19. პურეული მცენარე; 21. ქოთანში მზარდი, მინიატურული ჩინური დეკორატიული ხე; 22. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა, მოდუნება; 23. ქოსა მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

